

ლაშა ბუღაძე

ლისისტრატე

მონაწილეობენ:

- 1-ლი ქალი
- 2-ე ქალი
- 3-ე ქალი (4-ე ქალის დედა)
- 4-ე ქალი
- 1-ლი დედა
- 2-ე დედა
- 3-ე დედა (კინესიასის დედა)

კინესიასი
ლისისტრატე
6 ქალისგან შემდგარი ქორო

1. ნარიყალას ძირში. ღამე. ამჯერად - ქალთა ქორო.

- სული მეხუთება, არ შემოძლია ოთახში ჯდომა, ფანჯრიდან ყურება, ახალი ამბების მოსმენა. გეგონება, მიწისძვრა ყოფილიყო, ისე სწრაფად გამოვვარდი, არაფერი მომიხურავს, არც ჩანთა ამიღია. ალბათ, გიჟს ვგავარ. რა ხდება!

- ყოველ დღე ახალ-ახალი ამბები მოდის საზღვრისპირა რეგიონებიდან, თითქოს ეპიდემიაა. რა კარგად დაწერა ერთმა მალემსრობოლმა: “მალე აღარავინ დარჩება, ვინც შვილის გაჩენას შეძლებს!” როგორ მეშინია, ამ სენმა ჩვენს ქალაქში არ შემოაღწიოს! შეხედე, რა მაცვია, წლებია ხალათით არ გამოვსულვარ! რა სირცხვილია!

- გული მიკვდებოდა, როცა საზღვრისპირეთში ჰუმანიტარული მისიით ჩაგვექონდა საჩუქრები (მაშინ ჯერ კიდევ არ გვეშინოდა ქალაქის კედლების დატოვება) და როცა უკაცოდ ჩამომსხდარ გოგონებს ვხედავდი საჭარო გასართობ ადგილებში - გრძლად ჩამოვარცხნილი შავი თმით, მოკლე კაბებით, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლებით, ბრაზიანი გამომეტყველებით - არ

დაგიმალავთ, შინაგანად ვსაყვედურობდი: რატომ სხედან კაცების გარეშე!
განა მოსაწყენი არაა ისეთი გართობა, სადაც მხოლოდ ქალთა საკრებულოა!

- მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასე აღარ ფიქრობ.

- რასაკვირველია, ასე აღარ ვფიქრობ! რა უფრო მართებულია -
მელანქოლიური ცხოვრება უკაცოდ თუ გარდაუვალი სიკვდილი კაცის ხელით!

- ეს შავი ჭირი მალე ჩვენი ქალაქის გალავანს გადმოკვეთს! ისევ ისე იქნება,
როგორც ამბობებამდე: ლოგინში მტერი გვეწვება.

- ღმერთო ჩემო, სადღა იყო წოლა - მთვრალეებს ეძინებოდათ მინაზე.

- და თუკი მათ შეღვიძებას შეეცდებოდნენ, ან შემოგიღრენდნენ, ან ისე
შემოგიკურთხებდნენ, ერთბაშად დაგანყევლინებდნენ იმ დღეს, როცა თავი
მოიტყუე და ოდესღაც სანდოდ და მიმზიდველად მოგვარჩვენეს თავი.

- ან წამოვარდებოდნენ და კისერზე წაგიჭერდნენ ხელს.

- ან ძირს დაგაგდებდნენ, ზედ დაგაჯდებოდნენ და შენს დახრჩობას
შეეცდებოდნენ.

- ოცდაათი კილოთი მოგიგებდნენ.

- ოცდაათი კილოთი მეტით მოგკლავდნენ.

- ოცი კილოც ეყოფოდათ.

- უფრო ნაკლებიც.

- ეს ქალიც ასე მოუკლავთ!

- კიდევ ერთი!

- ჩვენი ქალაქის მახლობლად!

- დიდი მანიფესტაციის მონყობაა საჭირო, მოედანზე უნდა გავიდეთ, სახე
სისხლისფრად შევიღებოთ და მინაზე გავწვეთ.

- რატომ არ იღებს ხმას ლისისტრატე? რამე მოიფიქროს! თუ ფანტაზია აღარ
ჰყოფნის? არ გრძნობს პასუხისმგებლობას? მერე რა რომ, ქალაქი დაცულია,
ბრძოლა ქალაქს უნდა გასცდეს, თორემ ვერც ჩვენს სახლებში
შევიწარჩუნებთ მშვიდობას! თუკი გავჩუმდებით, მოძალადეები ქალაქში
შემოაღწევენ!

- ვწეროთ, სადაც წერა შეიძლება, ვგზავნოთ მალემსრბოლები, ხმამაღლა ვიყვიროთ, პირდაპირ სახლში მივადგეთ, მკაცრად მოვთხოვოთ, რამე იღონოს!

- აი, ასე ხალათებით, ველურებით, უჩანთებოდ და პრინციპში დაუვარცხნელად, რადგან მიხვდეს, რომ აღშფოთებისგან დავარცხნის დროსაც ვერ ვნახულობთ! არ არის გამორიცხული, ძველი მჩაგვრელები შურისძიებისთვის ემზადებოდნენ.

2.

ამჯერად - ორნი.

1-ლი ქალი. არის საკითხები, რომელთაც მშობლების თანდასწრებით ვერ განიხილავ, მაგრამ მგონი ახლა უკვე ის დროა, როცა თვალები უნდა აუხილო დაბრმავებულ დედას. მე ვსვამ შეკითხვას: ნორმალურია ის, რაც იმ სუფრასთან ხდებოდა? თუ ეს ჩვენ, დედამისის ბავშვობის მეგობრებს გვეჩვენება არანორმალურად? იქნებ მოსაზღვრე რეგიონების ზოგად-კრიზისული ფონი ახდენს ჩვენზე გავლენას? მაგრამ მარტო ჩვენ ხომ არა ვართ, ყველას როგორ მოეჩვენა! მესმის, სხვა თაობაა, სხვა საფეხურია, სხვა ეპოქაა, მაგრამ ინსტინქტი ყველა ეპოქაში ინსტინქტად რჩება, ეს დისტანცია კი ერთმნიშვნელოვნად ავის მომასწავებელი და დამაფრთხობელია.

2-ე ქალი. ამ დროს, ბავშვს თვალები უბრწყინავს, აბსოლუტურად ჯანმრთელი და თავისუფალია...

1-ე ქალი. ქალზე ამბობ...

2-ე ქალი. რასაკვირველია! შოლტივით ტანი აქვს, გრძელი კიდურები, აზიდული გავა...

1-ლი ქალი. შემიძლია დავიფიცო, რომ ეს არ არის ის შემთხვევა, როცა მხოლოდ ქალები აფასებენ ქალის სილამაზეს. მით უმეტეს - დედის მეგობრები.

2-ე ქალი. არ არსებობს დედა, რომელიც ლამაზად არ მიიჩნევდეს თავის ქალიშვილს (ეს დამტკიცებულია), მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერი ცხადია, ლანგარზეა მოწოდებული.

1-ლი ქალი. რა ტექსტებს ამბობს ეს არანორმალური? რა გამოხედვებია! რა მიხვრა-მოხვრა! ძველი დრო გამახსენდა. მხარს რას უშვება?

2-ე ქალი. უკისროა.

1-ლი ქალი. ხმას იბოხებს სპეციალურად.

2-ლი ქალი. რაღა მაინდამაინც ეს სუროგატი მოიწონა? ეს მარცხის მანქანა? ეს დაბღვერილი ფალიკური ინფუზორია!

1-ე ქალი. უნდა ეცე, ჩახადო ასეთს და ყველას დაანახო, რისი მაქნისია. ბღვერას ერთბაშად შეწყვეტს. თერაპიული სტრესია.

2-ე ქალი. ვინ უშლის! ეს ბავშვი გამოქვაბულში არ მჯდარა, ექვსი წლის ასაკიდან მოგზაურობს; ნასწავლი აქვს, როგორც ბაკალავრის, ასევე მაგისტრის სტატუსით და ნამდვილად არ თვლიდა, რომ ოცი წლის ასაკში

უნდა გათხოვილიყო: დედამთილ-მამამთილის გასახარად ეშვა მამრობითი სქესის შვილები და პირში წყალი ჩაეგუბა, როცა მოწყენილ ვაჟბატონს ახალი ხილის გასინჯვა მოუნდებოდა: “ღმერთებო, იაროს სადაც და როგორც მოუნდება, მთავარი ისაა, რომ მხოლოდ ჩემს მიერ გარეცხილ ნიფხავს ჰგუობდეს, რადგან სხვების მიერ გარეცხილი ბარძაყებს ჩაუხეხავს”. არ გახსოვს ჩვენი რევოლუციამდელი ახალგაზრდობა? ამ ბავშვს წესით არ უნდა სჭირდებოდეს ამის ახსნა! წინასწარი, ადეკვატური და პრინციპულია!

1-ე ქალი. მაგრამ მაინც სულელია, რადგან დაუფიქრებლად მიატოვა გენიალური მაგისტრატურა და ამ წვერულთან გამოიქცა!

2-ე ქალი. ეს წვერიც როგორი საეჭვოა! არანორმალურად არ გეჩვენება მის ასაკში ამხელა წვერის მასის ამოსვლა?

1-ლი ქალი. არანორმალურად მისი გამოხტობა მომეჩვენა. როგორ იქცევა? რა სიმპტომებია! ახლა თუ ესაა, ხვალ რა იქნება? მით უმეტეს, მოსაზღვრე რეგიონების მზარდი ნეგატიური ფონის პირობებში. ნუთუ ეს ბავშვიც ნაწყენი და შეურაცხყოფილი უნდა დარჩეს? ხელის გულზე ვზრდიდით, პირველი შვილი იყო ჩვენი მეგობრების საკრებულოში და კალთა არ ყოფილა, რომელზედაც ეგ არ ჩამომჯდარა! მოდიოდნენ უმაღლესი სასწავლებლებიდან, მოდიოდნენ სკოლა-ტექნიკუმებიდან, მოდიოდნენ ზოგადად ჰუმანიტარული ფაკულტეტებიდან, რადგან ყველგან გყავდა თანამდგომი და გულშემატკივარი - ერთი დიდი არმია ვიყავით! ჩვენი მოხდენილობით, ჩვენი ამბიციებით, ჩვენი ცოდნით და ინტუიციით... ომმოგებული თაობა, ომში გამარჯვებული ქალები... შეურყვნელები და შეუბღალავები! და, ბოდიშს ვიხდი, ამ შედეგებს ვერავის დავეთმობთ! ბაქტერია საწყისშივე უნდა მოსპო, თორემ ვირუსად იქცევა.

2-ე ქალი. არ შემიძლია ახალგაზრდა ქალის სევდიანი სახის ყურება! შეყვარებულია და ვერ ხვდება, რომ ამ კაცის ქცევა არანობუნებრივი, საეჭვო და შეურაცხყოფელია. ეს ბღვერა არ მომწონს! თუკი ჩვენს ნაწილად მივიჩნევთ ამ ბავშვს, დედამისს უნდა დაველაპარაკოთ. მერე გვიანი არ იყოს!

1-ლი ქალი. როგორ უნდა შეგიყვარდეს ისეთი მოდელი, რომელიც არც ერთი კომპონენტით არ იმსახურებს სიყვარულს.

3.

სახლი ნარიყალას ქვეშ. ამჯერად - 1-ლი, 2-ე და 3-ე ქალი.

1-ლი ქალი. ბევრი ამბობს, რომ მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი ჩვენი კულტურის არცთუ საამაყო მახასიათებელია, მაგრამ, არა მგონია, ვინმე შემეკამათოს, - ყოველ შემთხვევაში, უშუალოდ ჩვენი სოციუმიდან, - რომ ეს კულტურა, თუკი ეს მართლაც კულტურაა, რეგრესს განიცდის. ორაზროვნად და ბუნდოვნად მოსაუბრე ხალხი, მით უფრო ქალები, ჩემი აზრით, მარჯინალები არიან და თუკი ზედმეტ სიხისტედ არ ჩამომართმევთ, ასეთებს საუბრის დაწყებისთანავე ვაჩერებ, რადგან იმდენი საქმე მაქვს და იმდენად ცოტა დრო, რომ ნერვები არ მყოფნის, ვიდგე და ვიღაცის აბსტრაქტულ

შეგონებებს ვუსმინო, ამიტომ როგორც მეგობარი მეგობარს, როგორც საერთო მეგობრების მეგობარს, როგორც უძვირფასეს ადამიანს, პირდაპირ გეტყვი (და ერთი წამით არ ჩათვალო, რომ ცხვირს ვყოფდე შენი ოჯახის, შენი შვილის პირად ცხოვრებაში): ამ ყმანვილს მართლაც საგანგაშო სიმპტომები აღენიშნება თუ რეგიონების მძიმე ფონის შთაბეჭდილების ქვეშ ვართ? ხომ გესმის, არავის უნდა, რომ ქალაქი ისევ ბნელ ეპოქაში დაბრუნდეს. რა ხდება?

2-ე ქალი. მე ხომ ვიცი, კინალამ მოკვდა, სანამ ეს გითხრა.

3-ე ქალი. გული გამიხეთქეთ. ისედაც სულ შიშში ვარ და ვიფიქრე, სადმე რამე სისულელე ხომ არ წამომცდა. მუდმივი პრობლემები მაქვს ჩემი დაუფიქრებელი ლაპარაკის გამო, ზოგჯერ ისეთ რამეს ვამბობ, ვერ ვხვდები, რომ შეიძლება ადამიანს ეწყინოს. გაფანტულობის ბრალია. რა უნდა ხდებოდეს. მოგვწონს. მოვწონვართ. ოთხი თვეა დაგვიდის. ვერ მოვითმინეთ და ამ ვაჟბატონის გამო უკან მოვიტოვეთ გენიალური მაგისტრატურა, მაგრამ ჭერჭერობით უკმაყოფილოები არ ვართ. ნორმალური ახალგაზრდაა. არაფერს გვიშავებს, მოდის, მიდის. სხვას ვერაფერს ვიტყვი. გუშინ სპონტანურ სუფრაზე შემოგვესწრო. ჩვენგან აბსოლუტურად არ არის უცხოობის განცდა, მაგრამ ინტერესი არ გაგვიდის, სინდისი არ გვექნენის მიტოვებული სამაგისტრო პროგრამის გამო.

2-ე ქალი. არ იფიქრო, რომ თქვენს საქმეში ვერეოდე, მაგრამ არის საუბრები, - და არ უნდა გაგიკვირდეს, ამ მხრივ ყველა დამფრთხალია - რომ ცოტა უხეში, არაკონტაქტაბელური და სტერეოტიპული მოდელის მატარებელია.

3-ე ქალი. ანუ?

1-ლი ქალი. იბღვირება და უმიზნოდ ებუტება.

3-ე ქალი. ამ ეტაპზე ასეთს ვერაფერს ვამჩნევთ, მაგრამ თავს ვერაფერზე დავდებ. ისეთებიც ვართ, რომ სანამ ჩვენ თვითონ არ წავიმტკრევთ ცხვირს, ვერ მივხვდებით, ვინ ვინაა და ვინ რისი მაქნისია. აი, ახლა შემეშინდა. თუმცა მიუღებელს არაფერს შვება. მოვწონვართ. მოწონებას ტაქტიანად გამოხატავს.

2-ე ქალი. ამბობენ, შემამფოთებლად ტაქტიანად.

3-ე ქალი. ტაქტიანობას ადამიანი არასდროს მიუყვანია დანაშაულამდე. მე ასე ვიცი. თუ ვცდები, შემისწორეთ, ისტორიაში ცოტას მოვიკოჭლებ.

1-ლი ქალი. დედამისი მართლა დედებშია? ახლა დედები ბევრად უფრო სახიფათონი არიან, ვიდრე მოსაზღვრე რეგიონებში მოთარეშე წვრილფეხა მოძალადეები. დედები ტერორისტულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდნენ.

3-ე ქალი. თუ არ ვცდები, დედებიდან განკვეთილია.

2-ე ქალი. არავითარ შემთხვევაში! ერთად არიან, ერთად დადიან საყიდლებზე, ერთად გასცემენ ფულად სესხებს - რაღაც ფონდიც შექმნეს - და წელსაც ერთად იყვნენ ზღვაზე. მაქედან განკვეთა არ ხდება.

3-ე ქალი. თუ პრობლემაა, ჯობია ისევ დედამისმა მიხედოს, მე რა შუაში ვარ. მე ვერავინ დამაბრალებს, რომ ჩემს ქალიშვილს გათხოვებისკენ ვუბიძგებ. ღმერთმა დამიფაროს! მაგრამ არის რაღაც, რასაც წინ ვერაფრით აღვუდგებით - ეს სიყვარულია. შეყვარებულები ვართ.

2-ე ქალი. ხალხი ტყუილად არ ალაპარაკებულა. უკეთ დააკვირდი, ბავშვის შეუმჩნეველად (თორემ პროტესტი გაუჩნდება და თვალთმაქცობას დაიწყებს). ხომ ხვდები, თუკი ერთი მაინც დაარღვევს წესრიგს და ანაქრონისტულ მოდელს აღადგენს, ყველაფერი წყალში ჩაიყრება. უდიერის სიყვარული არ შეიძლება. ეს სახიფათოა. ამ ბავშვებს არ ახსოვთ, რის ფასად დაგვიჭდა ომის მოგება.

3-ე ქალი. ასეთი სულელებიც არ ვართ, თუკი რამე არ გვესიამოვნება, იმას ხელად უკუვაგდებთ. რატომ შემაშინეთ! ახლა მზვერავად უნდა ვიქცე, ამ დროს, ვერ ვიტან მოთვალთვალე მშობლებს.

1-ლი ქალი. მთავარია, შენ არ თვალთმაქცობდე. არ გენყინოს, ასე რომ ვამბობ.

3-ე ქალი. უკვე მენყინა.

4.

ოდნავ მოგვიანებით. ამჯერად 3-ე და 4-ე ქალი.

3-ე ქალი. შენც გეყოლება შვილი და მიხვდები, რა რთულია სწორი ტონალობის შერჩევა ქალიშვილთან საუბრის დროს, ეს ძნელდება 4-5 წლის ასაკში და პრინციპში არც არასდროს რეგულირდება, თუმცა ჩვენ ეს პრობლემა არასდროს გვქონია: მართალია, მენყინა, როცა სუბიექტური მიზეზების გამო მიატოვე სწავლა და აქ დამიბრუნდი, მაგრამ შენინააღმდეგება არც მიფიქრია, რადგან შეუძლებელია მოუგო შეყვარებულ და გაჩუტებულ ქალიშვილს. რაც არ უნდა გიძახო, მაინც შენსას დაიჩემებ და თუკი ვინც გიყვარს, დიდად არც გიყვარს, ჩემს ჭინაზე უფრო მეტად შეიყვარებ. მეუბნებოდა სანყალი დედაჩემი, რომ მამაშენი სრულიად შეუფერებელი მოვლენა იყო ჩემთვის (თუნდაც ასაკის და მენტალიტეტის გამო), მაგრამ, მახსოვს, ძირს ვიჭექი, ვტიროდი და თუკი ოთახში მკეტავდნენ, ფანჯრიდან ვიპარებოდი (მოგეხსენება, პირველ სართულზე ვცხოვრობდით - დღემდე სიბრძნობაში ვხედავ ჩვენს ბინას). ამ დროს, დედაჩემისთვის რომ დამეჭრებინა, არც მის მუდმივ გამოუფხიზლებლობაზე მომინებდა ნერვიულობა, არც მისი გინებისა და მუჭლუგუნების ატანა და არც ომისშემდგომი ნევროზების მართვა. თუმცა ისე არ გამიგო, თითქოს ეს ბიჭი არ მომწონდეს: ბიჭი აბსოლუტურად მისაღებია, რაც არ მომწონს და რაზეც, არ დავმალავ, ჩვენი საკრებულოს ქალებიც მიმანიშნებენ (გახსოვდეს, მათ კალთებში ხარ გაზრდილი), ეს შენი ემოციური მდგომარეობაა. მათ არ მოსწონთ შენი მელანქოლიურობა: განსაუთრებით, როცა გტოვებს ხოლმე (და გტოვებს, როგორც წესი, თვალშისაცემად მოულოდნელად). მისი მოსვლები ძალიან მომწონს, თუმცა წასვლები მეც კი მაეჭვებს: თავისუფალი ხარ, ქვენა აზრები არ გაქვს, ჩვენი თაობის განამებული ქალებივით არ ხარ, როცა სიტყვები და ქცევა სურვილის შეუსაბამო უნდა ყოფილიყო, მაგრამ რევოლუციის შემდეგ შენმა თაობამ ერთხელ და სამუდამოდ მოიპოვა შეუბღალავი “მინდა-ს” თქმის უფლება და არავის აწყობს, რომ ამ სიტყვას ისევ მოუწიოს პირველადი შინაარსის დაკარგვა. ბოდიშს გიხდით

ცნობისმოყვარეობისთვის, მაგრამ თუ შეგიძლია, სულ ცოტათი მაინც ჩამაყენე საქმის კურსში: რა ხდება თქვენს შორის? თუ გინდა, ნურაფერზე მიმითითებ, მაგრამ უნდა გამიგო: ჩვენ გამარჯვებულების შიშები გვტანჯავს, არ გვინდა, რომ ისევ დავკარგოთ მოპოვებული. შენ მამა გახსოვს უკვე პოსტ-რევოლუციურ ეპოქაში, როცა ერთი წამი არ დაფიქრდებოდა, უნდა შემშველებოდა თუ არა, ვთქვათ, თეფშის გარეცხვაში, ან მაშინ, როცა ჩემს მოსვლამდე ასწრებდა სახლის დალაგებას, ეზოს გამოხვეტას და საქონლის გადათვლას. შენს ცნობიერს ბუნებრივად მამის სახეხატება შემორჩა - კაცის, რომელიც ხმადაბლა საუბრობს, უაღრესად კეთილგანწყობილია, წელიწადში მხოლოდ ორჯერ სვამს ღვინოს, ისიც ერთ ჭიქას და საათნახევრით ადრე იღვიძებს დედაზე. შენ გახსოვს მამა, რომელიც ძილის წინ გიკითხავდა მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს; შენ გახსოვს ზრდილობიანი და თბილი მამა - აქანდაზით და ცოცხით ხელში მდგომი სახლის ზღურბლზე, ყოველთვის მზადყოფი სარეცხის შესაყრელად და დისციპლინის სიმბოლოდ ქცეული, მაგრამ შენ არ გახსოვს (და, პრინციპში, არც უნდა გახსოვდეს), რამხელა ძალისხმევა დამჭირდა, რომ ის ასეთად ქცეულიყო, როგორადაც იქცა. შენ არ გახსოვს, რადგან ერთი წლისაც არ იყავი, როცა ორგიებს აწყობდა ჩვენგან არცთუ შორს შერჩეულ შეფარულ ცოლთან ერთად (შეფარული ცოლი ჩემი ფეხმძიმობის დროს გაუჩენია, როცა თურმე მიმზიდველობა დამკარგვოდა მუცელგაბერილს), ხოლო როცა ერთხელ გავბედე და არჩევანის გაკეთება მოვთხოვე, ფანჯრის რაფაზე ჩამომარტყმევინა თავი (ახლა იქ შენი ბავშვობის თოჯინები მიდევს) და შემდეგ, როცა ომში მოუწია წასვლა და იქიდან კუდუსუნში დაჭრილს მოუხდა ჩამოსვლა, განხორციელებულ და შეუკავებელ მჩაგვრელად იქცა; როგორც ჯალათი ტყვეს, ისე მექცეოდა, ცივი შხაპის ქვეშ მაყენებდა და საფეთქელზე მატყენდა იარაღს. ჩემთვის შეუძლებელი იყო ჩვენი სამოქალაქო მატრიარქის ისტორიული ექსპერიმენტის პირველ ფაზაში მონაწილეობა, რადგან ჩვენს შორის ერთხელ და სამუდამოდ გამქრალიყო ვნება (სიყვარულზე ლაპარაკიც ზედმეტია), არ დაგიმაღავ - მამაშენთან ორგაზმი არასდროს მექონია, მაგრამ რახან გამოჩნდა შეუძლებელი აღმოჩნდა (ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი სიმახინჯე: მტანჯველი გამოჩნების საშუალებას არ მაძლევდა: ოთხჯერ გავექეცი და ოთხჯერვე უკან მომბარუნა), მეგობრების რჩევით, რამდენიმე საინტერესო მეთოდი შევისწავლე (რად მიჯდებოდა ვარჯიშებზე გაპარვა, ეს ცალკე თემაა) და status cuo ერთხელ და სამუდამოდ შევცვალე დიონისეს დღესასწაულზე: როცა შემთვრალმა მამაშენმა ისევ განიზრახა ცივი შხაპის ქვეშ ჩემი შეგდება, ხელი დავუჭირე, ზურგს უკან მოვუგრინე, ბოქვენქვეშ წიხლი ვუთავაზე და ლოყით ავაბრტყელე კედელზე. ის დღე იყო და ის დღე, რეალობა შეიცვალა. ბუნებით მოძალადე არ ვარ, მაგრამ თუკი მჩაგვრელს ძალას არ უჩვენებ, ვერაფერს გააწყობ. არ მინდა ტრავმული იყოს შენთვის ეს ცნობა, მაგრამ ზოგჯერ აქამდე არც მიდიოდა საქმე, ბოლოს ხელის მოღერებაც კმაროდა - ავწევდი და უკვე ჩერდებოდა. ორჯერ მომიხდა მისთვის კბილების პროტეზის გამოცვლა, მაგრამ ეს განუვლი ხარჯი უდაოდ ღირდა ამ კათარზისად. მასაც ვუშველე და საკუთარ თავსაც, თორემ ერთიც იქნებოდა, ღონეს ვერ მოზომავდა, შემთხვევითი

ტყვია გაუვარდებოდა, როცა ისევ შხაპის ქვეშ მომინდომებდა შეგდებას და ახლა დედა არ გეყოლებოდა. დედა მკვდარი, ხოლო მამა ციხეში.

4-ე ქალი. მამა სიკვდილის წინ სახსრების ტკივილს უჩიოდა.

3-ე ქალი. ჩემი მონათხრობიდან მხოლოდ ეს დასკვნა გამოიტანე? მამა ძვლის სიმსივნემ მოკლა და არა ჩემმა თერაპიამ. ახლაც თითქოს ჭიბრში მიდგები, ვითომ არ გესმის, რას ვამბობ, თუმცა დარწმუნებული ვარ, შინაგანად სრულად იზიარებ ჩემს პოზიციას. ეს გასაგებია: შენ არ გახსოვს ჩვენი ბრძოლის ეტაპები, ჩვენი ცხოვრების მთავარი ექსპერიმენტი, რადგან ადრეულ ბავშვობაში გაგიშვი საზღვარგარეთ და რაც აქ გავიარეთ და როგორც გავიარეთ, ახლა მიმზიდველ ეგზოტიკად წარმოგიდგება.

ანგელოზებში ცხოვრობდი და ამ ეტაპზე ველურები გიზიდავს. შენთვის ბუნებრივი მდგომარეობაა სქესთა თანასწორობა და მისაღებად გეჩვენება ზოგიერთი აქაური ყმანვილის უხეში არაადეკვატურობა. არ მინდა ასე ვიფიქრო, მაგრამ შესაძლოა შენთვის მიმზიდველიც კი იყოს შენი რჩეულის საგანგაშო და სხვებისთვის აშკარად არაკეთილგანწყობილი ღიმილი. ნუ გააღვიძებ დედაშენში ფსიქოლოგს, გაიხსენე ჩვენი ომები.

4-ე ქალი. ქმარი ნათლიაჩემსაც გალახული ჰყავს?

3-ე ქალი. ნათლიაშენს მისი ბედოვლათი ქმრის წყალობით ორჯერ დაემართა ტვინისშერყევა, რადგან ის კაცი უმონყალოდ სცემდა ომიდან დაბრუნების შემდეგ.

4-ე ქალი. მამიდა?

3-ე ქალი. ქაოსმა და სოციალურმა პრობლემებმა სექსუალური მანიაკები გამოყარა ქუჩებში, მამიდაშენს სწორედ ერთ-ერთი ასეთი დაუხვდა პლატოზე ასასვლელ საბაგირო გზასთან, ჯერ ზურგზე მიაბჯინა დანა, მერე ძირს დააგდო, კისერზე ხელი წაუჭირა და ალბათ მოკლავდა ან გააუპატიურებდა, საბრალო ქალი იქვე დაგდებულ აგურს რომ არ მისწვდენოდა და მისთვის თავში არ ჩაერთყა. ჩანთაში მაკრატელიც ედო - კაბის ჩასაჭრელად მიდიოდა თანამშრომელთან (მოგეხსენება, უნიკალური ხელის პატრონი იყო), თუმცა მისი ამოღება აღარ დასჭირდა.

4-ე ქალი. რატომ მიყვები ამ ყველაფერს? არ გინდა, რომ ვხვდებოდე?

3-ე ქალი. როგორ გეკადრება. შესანიშნავი ახალგაზრდაა და მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ მინდა, რომ მისი მცირე მინუსების შემჩნევაც შეძლო, რადგან შესაძლოა ეს მინუსები დიდ პრობლემად გექცეს მომავალში. ჩვენი ქალაქის ქალებს ამ მხრივ ყურადღება გამახვილებული გვაქვს, ბუნებრივად გვიწევს ერთმანეთის და ჩვენი შვილების მსუბუქი კონტროლი, რადგან რომ არა ის ცნობილი დღეები, რომ არა რევოლუცია, რომ არა გადაჯვარედინებული ფეხების გაფიცვა, დღეს ან ცოცხლები აღარ ვიქნებოდით ან უუფლებო მონებად ვედგებოდით კაცებს. უშუალოდ შენს დაბადებამდე, მარტო ჩვენს ქალაქსა და რეგიონებში კაცებმა ოთხჯერ მოახერხეს ომის წამოწყება. ერთმანეთს კლავდნენ როგორც ქალაქის კედლების შიგნით, ასევე მის გარეთ. და აი, ერთ დღეს დაიწყო ის, რასაც სავსებით მართებულად ეწოდა ლისისტრატეს ამბოხი: ამ გადასარევემა ქალმა, წარმატებულმა და უაღრესად პროგრესულმა, სხვა და სხვა სფეროში

მოღვაწე ქალები შეკრიბა და კაცების შეკავების (მე ვიტყვოდი, განწმენდის) სტრატეგია გააცნო.

4-ე ქალი. ვიცი, სკოლაში გვაზეპირებინებდნენ ამ ისტორიას. აღარ შემიძლია ამის მოსმენა.

3-ე ქალი. არა, სკოლაში ყველაფერი არ უთქვამთ: ლისისტრატემ პირობა ჩამოართვა ქალებს, რომ ისინი ნებისმიერ ფასად მოახერხებდნენ კაცებისგან დისტანცირებას - არათუ სიყვარული, სარეცელის გაყოფა ან საუბარი, მათი ნახვაც კი გვეკრძალებოდა. თვეების განმავლობაში ჩავიკეტეთ ძველი პოლისის გალავნის უკან და კაცები ერთმანეთის და ომების პირისპირ დავტოვეთ. მდედრობითი სქესის არც ერთი ძალდი და კატა არ დარბოდა ქალაქის ქუჩებში: როგორც კიდობანში, ისე შეგყვავდა ჩვენს სამალავში მდედრობითი სქესის ცხოველები. რაც ყველაზე მეტად დასაფასებელია, ამ გენიალურ ქალს შეეძლო სხვაგან წასვლა და პროგრესულ მამაკაცთა გვერდით ცხოვრება, მაგრამ დარჩა და თავი გადადო, რათა ჩვენთვის და თავისი ქმრისთვის ეშველა - უყვარდა ეს კაცი და უნდოდა, ერთხელ და სამუდამოდ განეკურნა პათივმოყვარეობის სენისგან - კაცმა ხუთი პოლიტიკური პარტია გამოიცვალა და მაინც ვერა და ვერ დაიკმაყოფილა თავისი ამბიცი, ორჯერ მოაწყო ლოკალური სამხედრო ამბოხება, ოთხჯერ იომა ერთ-ერთ პონტოურ ტომთან და შემდეგ ბერძნებთან ერთად ჩაება ათწლიან ომში. მოკლედ, წარმოუდგენელი იდიოტი იყო, მაგრამ უყვარდა ამ ქალს...

4-ე ქალი. ცემა?

3-ე ქალი. ვინ?

4-ე ქალი. ქალმა კაცი.

3-ე ქალი. შენი ირონია უადგილოა. ლისისტრატეს ძალა სიბრძენშია და არა კუნთებში.

4-ე ქალი. ესე იგი, შენ სულელი ხარ, რახან მამის ფიზიკური ცემა დაგჭირდა?

3-ე ქალი. მართალი ხარ, ლისისტრატეზე ჭკვიანი არ ვარ. ლისისტრატეს გზა ბევრად რთულია, მაგრამ ეფექტური.

4-ე ქალი. ეს მან გასწავლა, როგორ უნდა დაგემცირობინა მამა?

3-ე ქალი. მასწავლა, როგორ უნდა მესწავლებინა მამაშენისთვის ჩემი დაფასება. დამცირება რა შუაშია. რატომ გინდა, რომ გული მეტკინოს? ახლა უფრო შემეშინდა, სანამ ამ თემაზე გადავწყვეტდი შენთან ლაპარაკს. ესე იგი, პრობლემა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე თავიდან მეგონა.

4-ე ქალი. პრობლემა მამაჩემშია და არა ჩემში. ზოგჯერ მგონია, რომ მე ვარ მამა და შენ მისი ცოლი ხარ.

3-ე ქალი. ვერ ვხვდები, რაზე მიმანიშნებ.

4-ე ქალი. მე ვარ-მეთქი შენთვის მამაჩემი, მე ვარ შენი ქმარი, მე შენთვის მამაჩემის თვისებების ჭამი ვარ, რომლებთან ბრძოლასაც ინსტინქტურად აგრძელებ.

3-ე ქალი. შენთვის იმის გამო არ მომიცია ლიბერალურ სივრცეში განათლების მიღების საშუალება, რომ ბრტყლად და ზერეულად მომანებო

ფსიქოლოგიური კლიშეები. მგონი, საკუთარ თავს მამაშენად შენვე აღიქვამ, რადგან პირდაპირ ჩხუბზე გადადიხარ მის მსგავსად.

4-ე ქალი. ჩხუბზე შენ გადახვალ, როცა არა მხოლოდ შინაგანად, არამედ გარეგნულადაც მამად მოგეჩვენები.

3-ე ქალი. ეს მამაშენი მცემდა მე და არა მე მას! მე მოგვიანებით ვისწავლე თავის დაცვა. ეს მამაშენი მაყენებდა შეურაცხყოფას! მამაშენი წლების განმავლობაში დადიოდა სხვა სახლში, სხვა ცოლთან, სადაც სხვა კბილის ჯაგრისი, სხვა ფლოსტები და სხვა ხალათი ჰქონდა. შეიძლება სხვა შვილიც ჰყავდა, შენი და ან ძმა, შენი ორეული, ჩვენ კი არაფერი ვიცოდით ამის შესახებ. ყველა დუმდა, ყველას ვეცოდებოდი და ვერავინ ვერაფერს ამბობდა, მე კიდე, ბრიყვი, სახლიდან ვურეკავდი ნეტარი ღიმილით: “როდის მოხვალ? ხომ არ მოგშივდა?” შენ არ იცნობდი ასეთ მამაშენს, შენს მეხსიერებას ის უკვე დახვეწილი და მოთვინიერებული შემორჩა. მაგრამ შენ არ გაინტერესებს, რად დამიჯდა ეს ყველაფერი!

4-ე ქალი. რატომ არ გაშორდი? თუკი ასეთი საზიზღრობა იყო, რატომ არ გააგდე? რატომ არ გათხოვდი?

3-ე ქალი. იმიტომ რომ, მიყვარდა.

4-ე ქალი. სხვა ცოლიც ჰყავდა, გცემდა, ძალლად არ გაგებდა და მაინც გიყვარდა?

3-ე ქალი. მიყვარდა. თუმცა კაცმა არ იცის, რას მოვიმოქმედებდი, ჩვენი ბრძოლა რომ არა. თუკი შემთხვევით ან განზრახ არ შემოვაკვდებოდი, შესაძლოა თავიც მომეკლა მუდმუვი დამცირებისგან დათრგუნულს.

4-ე ქალი. მეზიზღება თქვენი ბრძოლა, მეზიზღება ლისისტრატე, მეზიზღებიან შენი ბრძენი დაქალები!

3-ე ქალი. იცი თუ არა, რომ სასწავლებლად ამ გენიალურმა ქალმა გაგიშვა? მან მოგვცა შენთვის საჭირო დაფინანსება და წელი არ გასულა, რომ ჩემი თანდასწრებით თუ დაუსწრებლად, შენს წარმატებებზე არ ჩამოეგდო სიტყვა. შენ უბრალოდ არ იცნობ ლისისტრატეს, მართლაც მამაშენივით ემოციური ხარ და მანამდე არ დამშვიდდები, სანამ ბოლომდე არ ამოთქვამ შენსას.

4-ე ქალი. ჰო, მე ვარ მამა! მე ვარ!

3-ე ქალი. არ იტირო, ჩემო სიყვარულო, ჩემო ანგელოზო, მოდი, ჩამეხუტე, თორემ ახლა მეც ვიტირებ. ვიცი, ერთს ამბობ და, სინამდვილეში, სხვა მიზეზია, სხვა რამეზე ღელავ. სწორედ ამის გამოცნობა მინდოდა. მაგრამ შენ არ მელაპარაკები, მამაშენივით ჩხუბობ, ამ დროს, ვინ გყავს ჩემზე ახლობელი! ნუ იზამ ისე, რომ ვინც გიყვარს, სწორედ იმან განყენონოს. გამეხსენი. მომიყევი, რა ხდება. მართალია, რომ თავსაფრის გაკეთება მოგთხოვა, როცა ტაძარს ჩაუარეთ?

4-ე ქალი. არაფერი არ ხდება, თავი დამანებე!

5.

ბალი სახლის უკან. ღამე. ამჯერად - 4-ე ქალი და კინესიოსი.

4-ე ქალი. უნდა წახვიდე? იქნებ ჩემთან დარჩე. დედაჩემის ნუ მოგერიდება. პირიქით, შეიძლება გაუხარდეს კიდევ.

კინესიასი. რა უნდა გაუხარდეს?

4-ე ქალი. ალბათ, არასწორი სიტყვა ვიხმარე, არ ვიცი. უბრალოდ მინდოდა მეთქვა, რომ დედაჩემთან არ უნდა იგრძნო თავი უხერხულად, მაგრამ თუ წასვლა გინდა, წადი. არ ღირს ამდენ ლაპარაკად. ნუ დაიძაბები, ნუ იფიქრებ რომ ჩემთან ბევრი ან თუნდაც ერთი-ორი დარჩენილა ასე. ცუდ ხასიათზე ნუ დამაყენებ, ისედაც დედაჩემს ვეჩხუბე.

კინესიასი. რატომ ეჩხუბე?

4-ე ქალი. ყველაფერში ცხვირს ჰყოფს, მისთვის ყველა მტერია, ვინც ოდნავ სხვანაირად ფიქრობს. ზოგჯერ მინდება, სახლიდან გავიქცე და სადმე სხვაგან დავსახლდე. თუნდაც რომელიმე საზღვრისპირა რეგიონში.

კინესიასი. არ მოგწონება, ცივა და მოუწყობელია.

4-ე ქალი. ვიცი, სანამ ქალებს არ აირჩევენ თვითმმართველობაში, არაფერი შეიცვლება.

კინესიასი. ეს ლისისტრატეს მითია, რომელსაც აქ წლებია იმეორებენ. ქალად ყოფნა პრობლემის გადაწყვეტაა?

4-ე ქალი. ქალად ყოფნა არა, ქალების ყოფნა პოლიტიკურ თანამდებობებზე.

კინესიასი. ესე იგი, ქალი უნდა იყო, თუკი გინდა, რომ წარმატებას ეწიო?

4-ე ქალი. თუკი მამაკაცი ხარ, მამაკაცად უნდა დარჩე (თუმცა არც ესაა აუცილებელი). შეხედე პოლისს და შეადარე მოსაზღვრე რეგიონებს: პოლისი წარმატებულია, რეგიონები - ქოთური და ღარიბი. ვინ მართავს ქალაქს? ქალები. ვინ მართავს მოსაზღვრე რეგიონებს? კაცები.

კინესიასი. იდეალური არც ეს ქალაქია, თავის ნუ მოიტყუებ. არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

4-ე ქალი. შეიძლება არაა იდეალური, მაგრამ არსებულთაგან საუკეთესოა.

აღარც ლისისტრატეა ახალგაზრდა, შეიძლება ყურადღება მოუდუნდა.

დედაშენი რას ამბობს?

კინესიასი. რა უნდა თქვას დედაჩემმა?

4-ე ქალი. ის ხომ დედებშია? მოდი, ასე გკითხავ: დედაშენთან გარკვეულ უხერხულობას გრძნობ ჩემთან ურთიერთობის გამო?

კინესიასი. არა.

4-ე ქალი. პრობლემა აქვს, ჩემთან რომ დარჩე?

კინესიასი. დედაჩემს? არა.

4-ე ქალი. დედებს?

კინესიასი. არც დედებს.

4-ე ქალი. აბა, რატომ არ რჩები? სულ სადღაც გარბიხარ.

კინესიასი. ყველას ასე ეუბნებოდი, ჩემთან დარჩიო?

6.

ისევ წარიყალას მახლობლად: 1-ლი, 2-ე და 3-ე ქალი.

1-ლი ქალი. საგანგაშო ჯერჯერობით არაფერია. ზედმეტ სიფრთხილეს ვიჩენთ.

2-ე ქალი. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ რატომ არ უნდა ვიყოთ ფრთხილად, როცა ქალს ზედ ჩვენი ქალაქის კედლებთან კლავს ქმარი, ეს ნიშნავს, რომ ხვალ ქალაქის კედლების შიგნით მოკლავენ სხვა ქალებს.

3-ე ქალი. კიდევ კარგი, უზომოდ დიდი სამეგობრო მყავს და ამ სამეგობროში შემავალ ქალებს ისეთი შვილები ჰყავთ, რომლებიც უკვე თავის მხრივ ქმნიან ახალ სამეგობრო წრეებს. მათ გზავნილებს დიდი ყურადღებით ვუსმენ.

1-ლი ქალი. ჰოდა სწორედ ჩემი ქალიშვილის მონაყოლს ვამბობ: ასე ჰყვებიან, რომ შენს შვილს არცთუ ისე მოკლე კაბის გამო უთხრა საყვედური.

3-ე ქალი. კინესიასმა?

1-ლი ქალი. დიახ, კინესიასმა.

3-ე ქალი. საჭაროდ?

1-ლი ქალი. არა, ინდივიდუალურად, შენს ქალიშვილს ჩემი ქალიშვილისთვის მოუყოლია.

3-ე ქალი. დაიჩივლა? შველა ითხოვა?

1-ლი ქალი. მეც ეს ვკითხე ჩემს შვილს (რადგან ეს უაღრესად მნიშვნელოვანია) და არ გაინტერესებს, რა მიპასუხა? შენს ქალიშვილს პრინციპში მიუღია კიდევ იმის შენიშვნა - რაღაცნაირად კმაყოფილიც იყო, ასე ითქვა. თავსაფარს სიამოვნებით იკეთებს, როცა ხედავს, რომ ეს კინესიასს სიამოვნებს.

3-ე ქალი. ეს ლიბერალიზმით დალლას ჰგავს. საინტერესოა, კინესიასს რატომ სიამოვნებს ჩემი ქალიშვილის თავსაფრით ყოფნა?

1-ე ქალი. ალბათ, დედებმა გაზარდეს ასე.

2-ე ქალი. ეს დედები უკვე ექსტრემისტულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდნენ. მათ საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავთ.

3-ე ქალი. იმედია, ღმერთები დაგვიფარავენ და ისინი არასდროს მოვლენ ხელისუფლებაში. რას ამბობს ლისისტრატე?

2-ე ქალი. ლისისტრატე არ ვიცი, რას ამბობს, მაგრამ ჩემი ქალიშვილის შეფასებაც უნდა გაცნობო (მოგეხსენება, მიუხედავად ინტროვერტული ბუნებისა, ისიც დიდი სამეგობროს წევრია): თურმე ღამე გასვლა აუკრძალავს შენი ქალიშვილისთვის.

3-ე ქალი. კინესიასს? სად?

2-ე ქალი. არტემიდეს უქმეების სახალხო ზეიმზე. უთქვამს: “სახლში დარჩი”. თან უაღრესად კატეგორიულად.

3-ე ქალი. ღმერთო, გამახსენე, როდის იყო. გასულ შაბათს? კვირას?

2-ე ქალი. კვირას.

3-ე ქალი. მართალია. სახლში იჯდა. რატომ დათანხმდა!

2-ე ქალი. არც ფიქრობს წინააღმდეგობის გაწევას. ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებს.

1-ლი ქალი. უყვარს.

2-ე ქალი. ყველაზე ცუდი ისაა, რომ შესაძლოა პრეცედენტული გახდეს მორჩილება. ბავშვებს ერთმანეთის მიბაძვა სჩვევიათ. ცოტა ეგოისტურად გამომდის, მაგრამ მე ჩემს შვილზე ვლელავ.

1-ლი ქალი. ბაფხულში მისთვის ცალ-ცალი საცურაო შესამოსელის ჩაცმაც აუკრძალავს. ესეც ჩემი შვილისგან ვიცი.

3-ე ქალი. ცალ-ცალი? აბა, როგორი უნდა ჩაეცვა? დედებივით პერანგით უნდა ჩასულიყო ზღვაში?

1-ლი ქალი. შენს ქალიშვილს ერთიანი საცურაო სამოსი უნდა სცმოდა.

3-ე ქალი. თურმე არაფერი მცოდნია საკუთარი შვილის შესახებ. და მერე? ჩაიცვა?

1-ლი ქალი. ჩაიცვა.

2-ე ქალი. ყველაზე დიდი სკანდალი საყურეს მოჰყოლია. აქ ხმისთვისაც აუნწვია.

3-ე ქალი. საყურეს გაკეთებას უკრძალავს? ახლა თავს მოვიკლავ, გალავნიდან გადავხტები.

2-ე ქალი. ჭიპზე.

1-ლი ქალი. ჭიპის საყურე დაუგმია.

3-ე ქალი. რომელი ჭიპის საყურე? არც მახსოვს, როდის ჰქონდა.

2-ე ქალი. ჭიპის საყურე, შედარებით მოკლე კაბა, ცალ-ცალი საზღვაო შესამოსელი, თავსაფარი... საყვედურები დაგროვდა.

1-ლი ქალი. თუ არ ვცდები, მოტკეცილმა შავმა რეიტუზმაც შექმნა პრობლემა. თუმცა ვერ დავადასტურებ.

2-ლი ქალი. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ხომ ხვდები, ეს შესაძლოა დანამდე მივიდეს.

1-ლი ქალი. დედის გავლენაა.

3-ე ქალი. ბავშვს თვალსა და ხელს შუა შემიცვლიან, ან ძალით უნდა გავამგზავრო უკან ან რაიმე უფრო ქმედით მეთოდს მივმართო.

1-ლი ქალი. ბიჭს ნუ გალახავ.

3-ე ქალი. რა სისულელეა, წლებია არ მიჩხუბია, შვილს მაშინვე დავკარგავ. ლისისტრატე უნდა ვნახო, რჩევა უნდა ვკითხო.

1-ლი ქალი. მნიშვნელოვანია იცოდე, ფიზიკური კონტაქტი თუ აქვთ. სრულფასოვანი სიყვარული ობიექტურს გახდის.

3-ე ქალი. მე ხომ არ ვუბიძგებ! დედა ვარ და არა დედები!

1-ლი ქალი. დააკვირდი.

2-ე ქალი. ფრთხილად ჩაეკითხე.

3-ე ქალი. ჩვენთან არასდროს დარჩენილა. სხვაგან არ ვიცი, რითი კავდებიან.

1-ლი ქალი. სხვაგან თუ შენთან, აუცილებლად ამით უნდა კავდებოდნენ. ეს პრობლემის გასაღებია.

7.

ამჯერად - 3-ე და 4-ე ქალები.

3-ე ქალი. ეს ისტერიკაა. ტირილით ნუ ლაპარაკობ. ისევ იჩხუბეთ? რა ხდება? სახლში რატომ ხარ? გარეთ რატომ არ გადიხარ?

4-ე ქალი. ნუ ერევი ჩემს საქმეში.

3-ე ქალი. შენ თვითონ მრევ. მე არც მცალია ამ ბავშვური თამაშებისთვის. მართლა გიკონტროლებს ტანსაცმელს? მართლა ასე გეუბნება: ეს ჩაიცვი, იმას ნუ ჩაიცვამ?!

4-ე ქალი. შენი საქმე არაა, რას მეუბნება. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ყველა ჩემზე ლაპარაკობს, უთხარი შენს დაქალებს, თავიანთ ცხოვრებას მიხედონ, ჩემით ნუ ერთობიან!

3-ე ქალი. ჯერ ერთი, ისეთი რა ცხოვრება გაქვს, რომ ვინმეს გართობა შეძლო და მეორეც, შენს ასაკში შეცდომები რომ დაუშვეს ჩემმა მეგობრებმა (არ ვიცი, ზუსტად ვის გულიხსმობ, მაგრამ დაახლოებით ვხვდები), ამიტომაც ცდილობენ უფრო ყურადღებით იყვნენ თავიანთი ქალიშვილებისა და შენს მიმართ. პატარები, ტუტუცები და თავდაჯერებულები ვიყავით და მაინცდამაინც ისეთები მოგვწონდა, ვისაც სხვისი ჩაგვრა შეეძლო.

4-ე ქალი. აღარ შემიძლია შენი შეგონებების მოსმენა! რა ვქნა: არავინ მომწონდეს?

3-ე ქალი. არ მინდა, რომ მჩაგვრელი გიყვარდეს!

4-ე ქალი. შენი საქმე არაა, როგორი მეყვარება.

3-ე ქალი. მაპატიე, თუკი განყენინე. ეს მართლაც არ მეხება, ზედმეტი მომდის. უბრალოდ ერთადერთ შეკითხვაზე გამეცი პასუხი და თავს დაგანებებ: რა არის იმის მიზეზი, რომ არც შენ რჩები მასთან და არც ის რჩება ჩვენთან? მე ხომ არ გიქმნით უხერხულობას? გინდა, სადმე წავალ ან თქვენ გაგამგზავრებთ? მე შენს მხარეს ვარ.

4-ე ქალი. ვერ გიტან!

3-ე ქალი. ცნობისმოყვარე ვარ, მაპატიე. დახმარებას ვცდილობ, არ ვჭოროაობ.

4-ე ქალი. არ მჭირდება შენი დახმარება.

3-ე ქალი. დახმარება ყველას სჭირდება. ერთი უტაქტო შეკითხვა: სქესობრივი კონტაქტი თუ გქონდათ? პასუხი ორივეს დაგვეხმარება.

4-ე ქალი. უზრდელი ხარ.

3-ე ქალი. ვიცი, მაგრამ შვილს ბოდიშებით ვერ დაველაპარაკები. მიპასუხე, გქონდათ თუ არა სექსი?

4-ე ქალი. გულს მირევ.

3-ე ქალი. წამიერი შეგრძნებაა, გადაგივლის. შედგა თუ არა თქვენს შორის სექსუალური კონტაქტი? არ იტირო, მშვიდად მიპასუხე.

4-ე ქალი. არა!

3-ე ქალი. მის გამო ჩამოხვედი, ოთხი თვეა ერთად ხართ და ერთმანეთთან არ გიცხოვრიათ?

4-ე ქალი. არა.

3-ე ქალი. შეგიძლია მითხრა, რატომ?

4-ე ქალი. შენი საქმე არაა.

3-ე ქალი. შენ ხარ უარზე თუ ის?

4-ე ქალი. თავი დამანებე, მეძინება.

3-ე ქალი. მოგინვები და ერთად დავიძინებთ. რატომ არ არის სექსი?
მიპასუხე, ნუ დამტანჯე, მილიონი საქმე მაქვს.

4-ე ქალი. აუტანელი ხარ, გულს მირევ.

3-ე ქალი. ყველა დედა აუტანელია. რა ხდება?

4-ე ქალი. ქორწინებამდე არ გვექნება. არ შეიძლება. მოძღვარი უკრძალავს.

8.

ამჯერად - დედები. სამნი.

1-ლი დედა. მოვლენის დაგმობა ნებისმიერ შემთვევაში მის კონსტატირებას გულისხმობს, ხოლო კონსტატირების შედეგი პრეცედენტულობაა: ადამიანი ნანახს იმეორებს.

2-ე დედა. ჩემი შვილიშვილი ოთხი წლისაა და უკვე კაცობს, თავის დას ეუბნება, რა უნდა ჩაიცვას და რა არა, ერთი-ორი წელიწადიც და სახლიდან აღარ გაუშვებს. კაცი კაცია, სტერილურად ვერ გაზრდი.

3-ლი დედა. ეგ ბავშვი ლისისტრატეს დაუმალეთ, თორემ შრომა-გასწორების კოლონიაში გაამწესებს და სქესობრივ იდენტობას დააკარგვინებს.

1-ე დედა. ჩემი უმცროსი ათი წლისაა და უკვე დედიშობილა აღარ მენახვება. ამ დროს, შარშან არ რცხვენოდა - ბებიამისს უხმობდა უკანალის გამოსანმენდად.

2-ე დედა. ჩვენი გვენახვება, სარცხვინელს არ მაღავს.

3-ე დედა. მე კი მაშინ მივხვდი, რომ კაცია, როცა ცემა მოვუნდომე და ხელი დამიჭირა.

2-ე დედა. ჩვენი თავის დაზე უმცროსია, მაგრამ, აბა, გაბედოს და რამე არ დაუჭეროს: ან დაუკითხავად აიღოს მისი სათამაშო, ან, ღმერთმა ნუ ქნას, მისთვის უთქმელად ჩავიდეს ეზოში, ერთს ისეთს გახედავს, დაუყვირებს ან წაუთაქებს, რომ მეორედ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს იგივე შეცდომას.

3-ე დედა. იმედია, აკონტროლებ, სად რას ამბობ, თორემ წაგვკრიან მაგ ბავშვს და მერე ისეთს დაგიბრუნებენ, ისე დაუქვეითებენ თვითშეფასებას, რომ დის დაქალების სამასხრო ობიექტი გახდება. ფრთხილად უნდა იყო.

2-ე დედა. ფრთხილად შენ უნდა იყო და არა მე. არ გენყინოს, მაგრამ შენი კინესიასი კრაზანების ბუდეშია მოხვედრილი, ამ ბავშვს მისი დაბადებიდან ვუცქერთ და არ გვინდა, რომ მასაც იგივე დაემართოს, რაც სხვა კაცებს ამ ქალაქში. შენს ადგილას ასე მშვიდად არ ვიქნებოდი.

3-ე დედა. მშვიდად ვარ, რადგან ვიცი, მისთვის და ჩემთვის შეუფერებელს არაფერს ჩაიდენს. მადლობა ღმერთს, მამამისი მანამდე დაიღუპა, სანამ ის ქალი ამ სირცხვილს გვაგემებდა, ამიტომ მამაც ისეთი ახსოვს, როგორიც ლისისტრატემდე იყო. ესე იგი, ისეთი, როგორიც მე შევუნარჩუნე. ისევე როგორც თქვენ, ჩემს მეგობრებს, ამ ქალაქის მკვიდრ ქალებს, ძირძველ მეოჯახეებს, მეც მიჭირდა ჩემი შვილის იმგვარ კაცად შენარჩუნება, რომ საერთოდ არ დაეკარგა მამაკაცურობა; ოღონდ ისეთი მამაკაცურობა, როგორიც ჩვენ ვიცით და გვახსოვს - ქუშმარიტი. მაგრამ ამისთვის

ყოველდღიური ბრძოლა მიწვედა. როცა პატარა იყო, ზოგჯერ განზრახ მომიტყუებია, ამან და ამან (მისი ასაკის ბიჭმა, ცხადია) შეურაცხყოფა მომაცენა, უზრდელურად დამელაპარაკა-მეთქი და ისე გამიხელებია, რომ მერე თავადვე მიჭირდა მისი დამშვიდება. რამდენჯერ ვაჩხუბე ასე იგივე ეზოში, იგივე საბავშვო ბაღში, იგივე დანყებით კლასებში, თუმცა ჩემი უშუალო ზედამხედველობის ქვეშ, რადგან არ მინდა და არც არასდროს მდომებია, ვინმეს დაეჩაგრა, არც კაცს და არც, მით უფრო, ქალს. ჰოდა ვფიქრობ, თავს არც ახლა დააჩაგვრინებს ვინმეს, ეს გოგო იქნება თუ ვინმე სხვა, ისე მოექცევა, რომ არც მე მატკინოს გული და არც სხვის დაკრულზე იცეკვოს. საკითხი არაა, რომელსაც სერიოზულად არ მიუდგება და უკვე თამამად შემოიძლია, ვთქვა: ქალი არაა, რომელსაც, ბოდიშს ვიხდი, თავზე დაისვამს.

ერთხელ შეეჩვია მასზე ასაკით უფროს ქალს და როცა ჩემმა სიტყვამ არ გაჭრა (არ მინდოდა, რომ მასთან ევლო), უკიდურეს ზომას მივმართე: ის ძუძუ მოვიღიავე, რითიც რძეს სჭამდა და პირში მივახალე: “ამას დაუჭერე, მე არა, ამით ხარ, რაც ხარ”, ჰოდა ის დღე იყო და ის დღე, ხსენებული ქალიც დაივიწყა და იმის მერე აღარაფერზე დამჭინებია. ამიტომ მჯერა, ფეხი არ წაუცდება, რადგან აქედან მე ვდგავარ (თქვენთან ერთად), იქიდან უბრწყინვალესი პიროვნება, მისი მოძღვარი, ვისთანაც კვირა არ გავა, რომ არ მივიდეს. თუმცა ჩვენი დიდი სირცხვილია, რომ ამ კაცს ქალაქში შემოსასვლელი საშვი არა აქვს (შავ სიაში თუ რაღაც მსგავსშია შეყვანილი) და გალავნის გარეთ სწირავს.

1-ლი დედა. ქალს იცნობ?

3-ე დედა. ვიცნობ. აქტიური ბავშვია, თუმცა განრთვნა შეიძლება.

თავსაფარზე ყაბულს არის, რაც მოსაწონია.

2-ე დედა. არ იეშმაკოს. ყოველი შემთხვევისთვის, ყურადღებით იყავი.

3-ე დედა. ყურადღებით ვარ. შეცდომას არ დავეშვებით. გამოცდილი დედა-შვილი ვართ.

9.

4-ე ქალი, კინესიასი. ასევე - უხილავ მოწმეებად მყოფი 4-ე ქალისა და კინესიასის დედების ქორო.

კინესიასი. ზოგჯერ თავისთავად ჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ მე და შენ იმაზე მეტად დაგუახლოვდეთ ერთმანეთს, ვიდრე ახლა ვართ. ვგულისხმობ ფიზიკურ დაახლოებას, რაზეც მუდმივად მიმინიშნებ ირიბად თუ პირდაპირ და რაც, გადასარევად იცი, ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგება, რადგან ჩემი რწმენა და სინდისი განსაზღვრულ ვადებს მიწესებს და არ მინდა, რომ დავარღვიო პირობა, რომელიც საკუთარ თავსა და ჩემთვის პატივსაცემ ქურუმს მივეცი. თუმცა ზოგჯერ - განსაკუთრებით ღამ-ღამობით, როცა მე და შენ თითქოს განგებ გვტოვებენ მარტო - აუტანლად მიჭირს ნებისყოფასთან გამკლავება და თუკი

შენს გარეშე ვარ იმწუთას, უნებლიე ფიქრს ვიწყებ შენს ფიზიკურ ორგანოებზე - როგორც ფრანგენტულად, ასევე სრული სიმსხვილით (გააჩნია, აგზნების რა საფეხურზე ვარ), - ვთქვათ, ბარძაყებზე, უკანალზე, მხრებისა და კისრის ანატომიურ კავშირზე. ვწუხვარ, როცა ვფიქრობ, რომ შენ მაცდუნებელი ხარ, მაგრამ ობიექტურად მართლაც ასეა: ახლაც შენს გვერდით ვზივარ და იმაზე ვფიქრობ, რამდენად შეიძლება ის ჩაითვალოს ცოდვად, რასაც ბუნებრივ ასაკობრივ ლტოლვად უნდა მოვიაზრებდეთ. ჰოდა, რაკი უკვე ასე ვფიქრობ, ეს ნიშნავს, რომ ჩემი პრინციპის დარღვევამდე ბევრი არც მიკლია; ეს ნიშნავს, რომ მე ჩემი სინდისისგან ვითხოვ ნებართვას, რათა ის ჩავიდინო შენთან ერთად დაწესებულ ვადაზე ადრე, რასაც, მადლობა ღმერთებს, ისედაც ჩავიდინთ მართებული ვადის მოსვლის შემდეგ.

დედები. გონს მოეგე, შვილო, ახლა თუ დათმობ და ვნებებს აჰყვები, მერე ყველაფრის დათმობა მოგიწევს. ხელის ბიჭად გაქცევს და სულს ამოგხდის დაჭუჭყიანებული თეფშების რეცხვაში. ახლოს ნუ უზიხარ, დისტანცია დაიცავი. შეხედეთ, ეს კახპაც როგორ უზის - ფეხებს დამაბნევლად უტრიალებს ცხვირწინ, ამ დროს, დაკვირვებული ყმანვილი ხელად შეუმჩნევდა ფეხებზე კოდოს ნაკბენებს.

4-ე ქალი. თუკი ფიქრობ, რომ არ უნდა უღალატო პრინციპს, იცოდე, შენთან ერთად არც მე ვუღალატებ, მაგრამ ის, რაც შენ გგონია პრინციპი არა პრინციპი, არამედ უბრალოდ უმიზნო და უსამართლო დოგმაა. თუკი პარტნიორი გიყვარს, ვისა აქვს უფლება რამე დაგიშალოს? ისე ნუ გამომიყვან, თითქოს ცოდვისკენ გიბიძგებდე, რადგან თუკი ასე იფიქრებ, თავს შეურაცხყოფილად და დამცირებულად ვიგრძნობ (რაც დამატებით კომპლექსს გამიჩენს შენთან ურთიერთობის დროს), მაგრამ თუკი ვნებებს თუნდაც საკრალური ვადებით შევბოჭავთ, ეს მალევე ჩაჰკლავს იმ ძალას, რაზეც ჩემი და შენი ურთიერთობა დგას: სიყვარულს.

დედები. კინესიას, ახლოს მოიწევს, დისტანცია დაიცავი!

1-ლი, 2-ე და 3-ე ქალები. თეორიულ საუბარს საქმე უნდა მოჰყვეს, უნდა აჭობო, საერთოდ ეს სიტყვა - ცოდვა - უნდა ამოუგდო ლექსიკონიდან. გადადი ფრთხილ შეტევაზე.

კინესიასი. უხილავი კოდოები გვკბენენ ღამ-ღამობით.

4-ე ქალი. ფეხები სულ დაკბენილი მაქვს. შეხედე.

დედები. ნაკბენებზე შეხედე და არა ფეხებზე! სად იყურები?

1-ლი ქალი. ხელი დაგადოს!

2-ე ქალი. შენ თვითონ დაადებინე!

3-ე ქალი. შეეშვით, ინსტინქტი თავისას იზამს.

კინესიასი. საინტერესოა ზუსტი განსზაღვრება, რა ითვლება ფიზიკურ შეხებად...

4-ე ქალი. ანუ ცოდვად?

3-ე ქალი. ამ სიტყვას ნუ ახსენებ!

2-ე ქალი. შეყვარებულის ფიზიკური მოსინჯვა ცოდვად არ ითვლება.

4-ე ქალი. დავუშვათ არის ტუჩებით შეხების შესაძლებლობა, არ მესმის, რატომ უნდა ვთქვათ ამაზე უარი? ესეც პრინციპია?

დედები. ეს ის პრინციპია, ვირეშმაკავ, რომ ბავშვს კოცნისთანავე შეაწუხებს უნებლიე ერექცია!

კინესიასი. ხელებს თუ დამიბამ, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ ვიტყვი უარს.

2-ე ქალი. ეს პერვერტი ყოფილა.

დედები. დაფეხმძიმდება, იდიოტო! შვილით შემოგეტენება! ვალდებულებებს აგკიდებს, მომავალს წარგგლეჯს!

4-ე ქალი. უხელებო კაცები არ მიყვარს.

დედები. გკითხე ერთი, ბევრი გყავდა-თქო ჩემამდე? გაგიკითხავს, რა წარსული აქვს? არ დაფიქრებულხარ, რეებს სჩადიოდა იმ თავისი ლეგენდარული მაგისტრატურის დროს? სხვის მიერ გადაგდებული ქალი რად გინდა, დედებს ერთი-მეორეზე უკეთესი ქალწულები უღპებათ სახლებში...

კინესიასი. რა გამართლებაც არ უნდა მოვუძებნო ჩემს თავს, ჭეშმარიტება ისაა, რომ, გინდა თუ არ გინდა, მაცდუნებელი ხარ. ეს სიტყვა ყურს მჭრის, მაგრამ იმას ვამბობ, რაც ენაზე მადგება.

1-ლი ქალი. შეუყავი ეგ ენა, ვერ ხედავ, მთხლეა?! თვითონ ვერ ბედავს.

4-ე ქალი. სტერეოტიპების ტყვე ვარ. ეს შენ მაცდუნებ, რომ მორჩილი და გაუბედავი გავხდე და არა მე შენ. რა უფრო დიდი ცოდვაა, - თუკი მაინც და მაინც ცოდვაზე აპელირებ, - გახსნილი ადამიანის ფანატიკოსად ქცევა თუ ჯანმრთელი ინსტინქტებით ცხოვრება?

1-ლი ქალი. რა გაქვთ ამდენი სალაპარაკო? ეს სუბლიმაციაა?

დედები. ფეხებს გადებს! სამი ნაბიჯით უკან!

2-ე ქალი. ეს ვერბალური ანანიზმია.

დედები. ეს ბოზობაა!

1-ლი ქალი. კალთაში გადაუჭედი.

დედები. თუ ჩაგიჭდა, ფეხებს განევ და ძირს ჩამოაგდებ, თუ არა და, თავს დაიღუპავ.

3-ე ქალი. შეეშვი ამ სანყალ ბიჭს, ნუ ტანჯავ.

დედები. კინესიას, ქალწულები სახლებში გვილპებიან. სად იყურები?

კინესიასი. იძულებული ვარ, ფიზიკურად შეგეხო, თუმცა თუკი ამას რამე მოჰყვება, გპირდები, შურს ვიძიებ შენზე, როგორც ჩემს მაცდუნებელზე.

დედები. არ მიეკარო!

1-ლი ქალი. გვაჩვენე ერთი, რისი მაქნისია! რას იქადნება!

2-ე ქალი. სიტყვიერი აგრესიით კომპენსირებს სქესობრივ ლტოლვას.

კინესიასი. გაიხადე.

3-ე ქალი. ტონი არ მომწონს. რატომ უბრძანებს?

დედები. და ამის მერე დედებს ჩახედავ თვალებში?

კინესიასი. მინდა, შიშველი გნახო.

დედები. შიშველი სხვებსაც უნახავთ. დიდი ვერაფერი.

1-ლი ქალი. ეს ვერც მოითმენს, კურდღელივით უნებისყოფო ჩანს.

კინესიასი. რატომ არაფერს შვრები? გაიხადე და წინ დამიწეცი.

4-ე ქალი. არა, კინესიას.

კინესიასი. რა არა?

4-ე ქალი. ვიცი, არა-ს გაგონება გინდა.

დედები. არა “არა” არაა, არა კი-ს ნიშნავს. ეს კახა ვის ატყუებს!

4-ე ქალი. არა, კინესიას, არა... არა! არა! არა! არა! არა!

1-ლი ქალი. რა ხდება, სად მიდის?

2-ე ქალი. სად გარბის?

დედები. გაგიჟებს, ჭკუას გირევს, ეშმაკეულია! გამოლოცვა სჭირდება!

კინესიასი. რა არა?

დედები. გაჰყვები და ჩვენს სახელს ნულარ ახსენებ! შეშლილობას შეგყრის და თავბედს განყევლინებს! მოდი შენს დედებთან, ნუ გვიღალატებ, დედებს უერთგულე! დედა არ უარჰყო! დედას ვერ შეცვლი!

10.

კინესიასი და ქალთა ქორო.

კინესიასი ლისისტრატეს ქალაქის გალავნიდან გაჰყურებს უკუნეთში ჩაძირულ საზღვრისპირა რეგიონს.

1-ლი დედა. გაშორდი ამ ქალაქს, საზღვრისპირა რეგიონში წადი, იქ დაცოლშვილდი, სამუდამოდ დარჩები უფროსად და ცოლს კუთვნილ ადგილს მიუჩენ. ეტყვი: ფეხები დამბანე! - დაგბანს. ეტყვი: სახე დაიფარე! - ხელად დაიფარავს.

დედები. დედებს წაიყვან, დედაშენს წაიყვან და საპატიო ადგილს მიუჩენ ოჯახში. ცოლებს მასწავლებლად დაუსვამ. მამას გადაკრძალავ.

2-ე დედა. ოღონდ ისე დამარხავ, რომ უკანალს უშვერდეს ამათ ქალაქს. საჯდომით ლისისტრატეს უნდა უყურებდეს!

3-ე დედა. ორპირია, ჩამოდი მაგ გალავნიდან. რაღას უყურებ?

1-ლი დედა. საზღვრისპირა რეგიონის კაცებს უყურებს.

3-ე დედა. მოთვალთვალე ამორძალები გადი-გამოდიან, საყვედური არ გითხრას ვინმემ.

1-ლი დედა. ხედავ, როგორ გაგექცა? ნერვებს გირევს, გაფორიაქებს, ძალას გაცლის... ამ დროს, ჯერ კიდევ როდის შეპირდი საწყალ დედაშენს, რომ ქვედა

სართულის რემონტს ზამთრისთვის დაასრულებდით. კალაპოტიდან ამოგაგდო იმ არამზადა ქალმა.

2-ე დედა. აქ უნდა მოათრიო და ხელი ჰკრა დაუფიქრებლად! ყველა, ვინც თავს პრივილეგირებულ კასტად მიიჩნევს და ჩვენ, გამწარებულ მეოჯახე დედებს დაგვყურებს ზემოდან, აქ უნდა მოგყავდეს და გალავნიდან აგდებდე შეუბრალებლად.

3-ე დედა. თუკი ცოლი მოგყავს სახლში, ძალიან მაინტერესებს, მაინც სად უნდა აცხოვრო? მისადები შეუღესავია, პირველ სართულზე სამშენებლო მასალა ყრია, საპირფარეო ჯერაც ეზოში გვაქვს, წყალს ისევ ჭიდან ვეზიდებით. ვაი შენს პატრონს, ქორწილის წლისთავის გადახდასაც ვერ მოასწრებ, ისე სწრაფად გამოგვცლის რომელიმე წარმატებული დედის ვაჟიშვილით.

1-ლი დედა. ორ ოთახში ძლივსღა ეტევით შენ და დედაშენი, სად უნდა წავიდეს, სად უნდა მიწვეს ეს ქალი, როცა შენ და შენი ცოლი თანაყოფას გადანწყვეტო? ძალიან გარეთ უნდა გააგდოთ? მეზობლებმა უნდა შეგიფარონ საწყალი დედა?

2-ე დედა. თუ ცოლის ოჯახს შეუსახლდები ქალაჩუნასავით?

კინესიასი. რატომ? ჩემი გეგმა ასეთია: ჩვენს საძინებელს უცებ დავამთავრებ, ან ახალდაქორწინებულთა წესით ვისარგებლებთ და ლისისტრატეს 9 თვით გამოვთხოვთ ბინის ქირის ფულს.

3-ე დედა. ცხრა თვის მერე რაღას იზამ?

1-ლი დედა. ცხრა თვის მერე ცოლი გაგექცევა.

2-ე დედა. დედა მეხუთე თვეზევე გააქცევს, ცხრამდე არც მოიცდის.

კინესიასი. უნდა მძულდეს ეს ქალი? ყველა უნდა მძულდეს?

დედები. ლისისტრატეს ქალაქი უნდა გძულდეს.

3-ე დედა. ნუ ქანაობ, გადავარდები. ხელი მოაჭრს მოკიდე.

2-ე დედა. წონაც არა გაქვს, იმ ქალებს ერთ ლუკმად არ ეყოფი. საწყალო, რამდენ კილოგრამს იწონი?

1-ლი დედა. ჩვენთან უნდა დარჩე, რადგან ჩვენ სხვანაირები ვართ. იმ ქოფაკებში ნუ გაერევი.

2-ე დედა. თორემ დაგჩაგრავენ, კინესიას...

1-ლი დედა. გადაგავარებენ!

2-ე დედა. სისხლს გამოგწოვენ!

1-ლი დედა. გაშორდი ამ ქალაქს და უკან არ დაბრუნდე!

დედები. საზღვრისპირა მამრებს შეუერთდი, იარაღი აისხი, ტყვიები შეიძინე, შავები ჩაიცვი, თმა-წვერი მოუშვი, რათა მარტო შენი დანახვაც კი თავზარს სცემდეს ლისისტრატეს დაწვრთნილ ამორძალებს...

1-ლი დედა. ქარიც კი იქით უბერავს, გალავნებიდან საზღვრისპირა რეგიონისკენ!

2-ე დედა. კინესიას, ღმერთები სასაზღვრო გამშვები პუნქტის მიღმა გელიან!

3-ე დედა. ჩვენს ღმერთებს არ უნდათ, რომ ეს გადაგვარებული ქალი გიყვარდეს. ეს დამტკიცებულია.

11.

4-ე ქალი, კინესიასი.

კინესიასი. სადმე აპირებ წასვლას?

4-ე ქალი. იქ მივდივარ, სადაც შენც მოდიხარ. რაც ჩამოვედი, ყოველ დღე ვინმეს დაბადების დღე, ან სიამოვნებაზე აქცენტირებული წვეულებებია. დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ მომეჩვენა, რომ უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში ორჯერ ვიყავი ერთი და იგივე ადამიანის დაბადების დღეზე. რა არის ეს: ინფანტილიზმი, სოციალური სკლეროზი თუ ჰედონიზმის მუდმივი ნოსტალგია? განა ვინმეს ვსაყვედურობ, უბრალოდ განცდა მაქვს, რომ აქ თითქმის მთავარ ღირებულად არის ქცეული ბედნიერად ცხოვრების ტირაჟირება. სუნი აგდის. მთვრალი ხარ.

კინესიასი. თუ გინდა, რომ მეწყინოს, უნდა წახვიდე. გინდა, რომ მეწყინოს?

4-ე ქალი. თუ მეტყვი, რომ არ წავიდე, არ წავალ. იქ წასვლას შენთან ერთად ყოფნა მირჩევნია. თქვენ უფრო უკეთ იცნობთ ერთმანეთს, ვიდრე მე, დიდი წრე ხართ, ყველგან ერთსა და იმავე ხალხს ვხედავ, არა მგონია, ან მე ან ვინმემ მოგცეს გაღიზიანების მიზეზი. ბევრს სვამ? კარგა ხანია, მთვრალი კაცი ან ქალი არ მინახავს, ვიღაცამ მითხრა, რომ გადამეტებულ სმაზე ჭარიშაა. ვიცი, დასალევად რეგიონში გადიხარ, ნადირობთ და ღამეს ტყეში ათენებთ. ეს მიმზიდველია. რამდენად შესაძლებელია, ერთხელ მეც გამოგყვე?

კინესიოსი. რატომ უნდა გამოგყვე? ამას ჩემი პატივისცემისთვის ამბობ თუ შენთვის? არ მინდა, ნუ გამოგყვები.

4-ე ქალი. “არ მინდა ასე ჰქნა, არ მინდა ისე ჰქნა”. მე ეს არ მანუხებს, ჩემთვის, პირიქით, საინტერესოა გარკვეული აკრძალვების რეჟიმში ცხოვრება, მით უფრო, როცა ვხედავ, რომ ეს შენ გსიამოვნებს; არ გინდა, რომ სადმე წავიდე? კი ბატონო, არ წავალ. არ გინდა, რომ ისე მეცვას, როგორც უქმეებზე მეცვა - მაგალითად, წითელი ქვედაბოლო, - კი ბატონო, არ ჩავიცვამ, საერთოდ დავწვავ ან მაკრატლით დავჭრი ამ ქვედაბოლოს. გეჩვენება, რომ ვინმე, ქალი ან კაცი, ზედმეტ ყურადღებას იჩენს ჩემს მიმართ? თუ ასე გეჩვენება, დავითრგუნები და ეს ქალი ან კაცი, თუკი ასეთი არსებობს, ჩემს მახლობლად აღარ გამოჩნდება. თუკი შენ არ გინდა, რომ სადმე წავიდე და თან არც შენ დარჩე ჩემთან, ანუ არსად წავიდე და თან უშენოდ დავრჩე, უშენოდ და მარტო, ასეც ვიზამ, მაგრამ იცოდე, ამას მე ვიზამ და არა ლისისტრატეს ქალაქი, არა ეს ქალები, რომლებმაც ის ჰქნეს, რაც აუცილებლად უნდა ექნათ წლების წინ, რადგან შენმა ქცევამ შესაძლოა ვინმეს უნებლიედ მოაგონოს მისივე მძიმე წარსული. ოღონდ მე არა, რადგან მე მიყვარხარ, რადგან მე წუთებს ვითვლი შენს მოსვლამდე და სულ მინდა, გიყურო, შენს ხელებს ვუყურო და ახლოდან მესმოდეს შენი ხმა. შიგნიდან მესმოდეს, როგორც შენ გესმის ყურსასმენებიდან შენი მოძღვრის ქადაგება. უკვე მრცხვენია, ამას რომ ვამბობ, რადგან ისე ჩანს, თითქოს გაცდუნებ, რადგან ვიცი, შენი ცხოვრების წესს და შენს მოძღვარს პატივი უნდა ვცე, მაგრამ როცა არის შესაძლებლობა, რომ ჩემთან დარჩე, ანუ ჩემთან იყო (მით უფრო მაშინ, როცა დედაჩემი მორიგეა და დილამდე არ მოვა), არ მესმის, თუმცა ვცდილობ, გაგიგო, რატომ არ რჩები, რატომ მტოვებ და რატომ მიდიხარ კაცებთან, რომელთაც ისედაც ყოველ დღე ნახულობ? კინესიასი. თუ წავალ და დაგტოვებ, ნახვალ და სხვას ნახავ? შეშინებული უნდა დავრჩე და გიყარაულო?

4-ე ქალი. მე შენს გამო მივატოვე მაგისტრატურის გენიალური კურსები და ცხოვრება შევცვალე, მაგრამ ამას არც დასამადლებლად ვამბობ და არც გასაყვედურობ, უბრალოდ არ მესმის, რისი გეშინია? ჩემი პრობლემა ისაა, რომ შენთან ყოფნის უკმარისობა მაქვს და არა ის, რომ სხვა მინდა.

კინესიასი. რახან ხელს არ გაკარებ, ამიტომ გაქვს უკმარისობა?

4-ე ქალი. არ მინდა, უზრდელურად გამომივიდეს, მაგრამ აშკარად ვგრძნობ, რაღაც პრობლემა გაქვს, მძიმედ ხარ და არ ვიცი, ეს სიმძიმე იმ მრევლის მახასიათებელია, რომლის წევრიც ხარ თუ ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური თავდაჯერებულობა გაკლია?

კინესიასი. გაინტერესებს, იმპოტენტი ვარ თუ არა?

4-ე ქალი. ნუ ბრაზობ, შეკითხვებს ვსვამ. ვიცი, რომ არ ხარ.

კინესიასი. საიდან იცი?

4-ე ქალი. ვგრძნობ.

კინესიასი. წამში ხუთი სიტყვის თქმას ასწრებ. დაფიქრდი, სანამ რამეს იტყვი.

4-ე ქალი. სად მიდიხარ? მოიცა, მე უნდა წავიდე! არ მინდა წასვლა, მაგრამ დამიჯერე, უფრო აჯობებს, რომ სახლში არ დავრჩე: აკრძალვის ჟინი უნდა გადავლახოთ, თორემ დაგვჩაგრავენ! მე არ მინდა სხვაგან გართობა, რადგან უშენოდ ერთმნიშვნელოვნად ვერ გავერთობი, მაგრამ წავალ და ყველას

დასანახად ავცეკვდები, შეიძლება უცხო კაცთან ერთადაც კი, რომლის არც სახელი დამაინტერესებს და არც გარეგნობა, ანუ მხოლოდ იმიტომ ვეცეკვები, თუკი ცეკვაზეა საუბარი, რომ ხიფათი აგაცილო თავიდან. მე არ გავალ ტუალეტში ვინმესთან ერთად და არც არავის მოვუშვებ საგანგაშოდ ახლოს, მით უმეტეს, დალევის შემდეგ, როცა თავის გაკონტროლება გამიჭირდება, მაგრამ ყველას დავანახებ, რომ შენ არ გჭამს არასრულფასოვნების კომპლექსი, რომ ყველა სისულელეზე არ იბოღმები და იმდენად მენდობი, რომ არავინ და არაფერი გაშინებს. მაგრამ ამას განა იმიტომ ვიზამ, რომ შენი ტემპერამენტი განმიზიდავს - წესით, ამას არც უნდა გეუბნებოდე, მაგრამ ზოგჯერ ფიზიკურ სიამოვნებას მანიჭებს, როცა რაღაც მიუღებელ ბანალობას ითხოვ ჩემგან, როცა სიბრაზისგან გექცევა ყბა და ხაზი გიჩნდება ლოყაზე; როცა მეუბნები: “არ ნახვალ, ამას ნუ იცვამ, იმას საიდან იცნობ”; როცა ვხედავ, რომ ზუსტად იცი, რა არ მოგწონს ჩემში და გაღიზიანებას ვერ მალავ, თუმცა მესმის, ეს არ შეიძლება, ეს საშიშია, ეს ბევრ თავსატკივარს გაგვიჩენს, რადგან ამ ქალაქში სხვა კანონებია. ამიტომ სულ რომ ძირს გაწვე, ისევ ჩემი და შენი უსაფრთხოებისთვის, ჩვენი ბედნიერების სახელით გადაგაბიჭებ და მაინც წავალ, თან ნახევრად შიშველი (მაქვს ასეთი გიჟური ტანსაცმელი), ყურადღებას მივიპყრობ და ყველაფერს ვიზამ, რომ ყველამ დაინახოს - მე არავინ არაფერს მიკრძალავს, მე არავის ვეკუთვნი.

12.

ისევ დედები: 1-ლ, 2-ე და 3-ე.

1-ლი დედა. დავიღუპეთ, სახლში არ მოსულა?

3-ე დედა. რა მოხდა? მოვარდა და გავარდა.

1-ლი დედა. ქალაქიდან არ გააძევონ!

2-ე დედა. შავ სიაში არ შეიყვანონ!

3-ე დედა. კიდევ კარგად მოუთმინა. მის ადგილზე მამამისი რომ ყოფილიყო, აუცილებლად სისხლს დაღვრიდა. ჩხუბს ყოველ მიზეზ გარეშე მოჰყვებოდა დაჭრა ან იქნებ მკვლელობაც. რად უნდა მამამისი, მე რომ მე ვარ, არც მე დავიხევედი უკან: დანა რომ მქონოდა, სახეზე ჩამოვუსვამდი, რათა მერე ყველას გახსენებოდა, ვის გაუბედა წინ ჩამოდგომა. გაკანვრა რაა, თუმცა გაკანვრა არც ყოფილა. თუ მართლაც ისე მოხდა, როგორც თქვენ მიყვებით, მაშინ ყოჩად ჩემს ბიჭს, რადგან რკინის ნებისყოფა ჰქონია: ეს როგორ, ქალი მონიშნული გყავს, გრძნობ მასზე პასუხისმგებლობას, ხალხმა იცის, რომ თქვენს შორის არის ერთგვარი ინტიმურობა და უეცრად ვილაც მესამე ცდილობს მასთან ფიზიკურად დაახლოებას - ცეკვა ფიზიკური სიახლოვე არაა? - ჩვენ რა ვიცით, როგორი ცეკვაა, რას ჰყვებიან თქვენი შვილები? მომიყევით! ახლა გული გამისკდება! იქნებ იყო წელზე ხელის წატანება, იქნებ იყო ყურთან დიდხანს შეყოვნება, ვითომ საუბრის მიზნით? იქნებ იყო კისერზე კოცნაც? რას ამბობენ: რა მოხდა? ერთად იყვნენ და სხვასთან წავიდა? სად იყო ჩემი შვილი და თუკი იქ იყო, რისი მოთმენა უწევდა? ახლა

ყველა მასზე ლაპარაკობს? ძალიან კარგი. ურტყა? დასაჯა? ჯერ სად არიან! ქალი სადაა? ქალს არ მოეთხოვება პასუხი? მოვლენათა ლოგიკა მაინტერესებს! ჩემს ბიჭს ვერავერი დავაცდენინე, რადგან ჩუმია, სიტყვებს ჰაერში არ ფანტავს. ჩემი დაბოგვა ვასწავლე. სად წავიდა?

1-ლი დედა. ცეკვას გაუღიზიანებია!

3-ე დედა. ის ქალი არ მომწონს! ვგრძნობ, ძილს სამუდამოდ წამგვრის მისი ცეკვა! სადაა ეს ბიჭი, რატომ არ ბრუნდება?

13.

ამჯერად - 1-ლი, 2-ე და 3-ე ქალები.

1-ლი ქალი. ქალაქის ჭიშკართან მისულან!

2-ე ქალი. ჩემმა ქალიშვილმა მითხრა, ბოლო კარიბჭემდე მიუცილებია, ახლა სახლში ზის და ტირის.

3-ე ქალი. სად წავიდნენ? ეს გატაცებაა? ქალაქიდან გაიყვანა?

1-ელი ქალი. ალბათ, ძალით დააქორწინებენ.

2-ე ქალი. რატომ ძალით? თავისი ნებით გაჰყოლია.

3-ე ქალი. ვინ სცემა? რატომ?

2-ე ქალი. ზოგი ერთს ასახელებს, ზოგი ორს. დანაც ჰქონია.

1-ლი ქალი. წლებია ასეთი სისულელე არ მომხდარა!

3-ე ქალი. უნდა წავიდე! უნდა მოვაბრუნო! ახალი ჩამოსულია, ტვინი არა აქვს, თავგადასავალი იზიდავს!

1-ე ქალი. შენ ვერ დააბრუნებ!

2-ე ქალი. წადი დედამისთან!

1-ლი ქალი. წადი დედებთან!

3-ლი ქალი. დედებთან არ წავალ, ბნელებთან არ ვითანამშრომლებ!

1-ლი ქალი. შენი შვილი ბნელების შვილთან ერთად გაიქცა!

2-ე ქალი. წადი მატრიარქთან! შველა ვთხოვოთ!

1-ლი ქალი. რეზონანსული საქმეა: დარწმუნებული ვარ, მატრიარქიც ჩვენსავით ღელავს.

3-ე ქალი. არა, კარიბჭესთან უნდა მივიდე, იქნებ არც გასულან! შესძახეთ მალემსრბოლს, ჭიშკარი გადაკეტონ!

14.

ნარიყალაზე ასასვლელი ბილიკი. დედები: 1-ლი, 2-ე და 3-ე.

3-ე დედა. ახლა შეპყრობენ და საჯაროდ, ყველას დასანახად დასჯიან! წაიკითხეთ, რას წერენ პრესაში: მოუთვინიერებელ ბიჭებს ასოს წარკვეთენ და საჭურისებად აქცევენ! სამომავლოდ მუცელს მოუშლიან ისეთ ქალებს, რომლებიც კაცებზე იქნებიან ფეხმძიმედ! ვის არ უჩხუბია! მაჩვენონ ჩემი ვაჟიშვილი! მაჩვენონ მკვდარი ან ცოცხალი! ბიჭებს გვისპობენ! კაცებს გვიკლავენ!

1-ლი დედა. რა უნდათ? რომ გულები დაგვისკდეს? რომ ლოგინიდან წამოდგომა ველარ შევძლოთ? რომ მუდმივ შიშში გავატაროთ დარჩენილი წლები?

2-ე დედა. ბიჭებს გვიკლავენ!

3-ე დედა. ბავშვი დამანახონ, თორემ ნავთს გადავისხამ ტანზე და ცეცხლს წავიკიდებ! მე რატომ არ მითხრა, სად მიდიოდა!

1-ლი დედა. რატომ არ შეაჩერე? რატომ არ ჰკითხე?

2-ე დედა. იქნებ ჯერ კიდევ ქალაქში არიან?

3-ე დედა. არ ვიცი, გამშვებ ღიობთან არავის უნახავს! მხოლოდ ჭიშკართან იდგნენ შეიარაღებული ამორძალები.

1-ლი დედა. მკვლელებო!

2-ე დედა. სისხლისმსმელებო!

1-ლი დედა. სირცხვილი მატრიარქს!

2-ე დედა. გრცხვენოდეს ლისისტრატე!

15.

ნარიყალას ციხესიმაგრე. ამჯერად ლისისტრატე. ასევე ქალები (სამნი) და დედები (ესენიც სამნი). მოგვიანებით 4-ე ქალი და კინესიასი.

ლისისტრატე. როცა ყვირილი შემომესმა, მე ჩემს ბაღში ვჩიჩქნიდი მიწას. გოდება რა საჭიროა - თუკი კამათი უნდა ვინმეს, აქ ვარ, მეკამათოს და შევეცდები, ჩემი და ჩვენი სიმართლე დავიცვა. ვხედავ, დედებს სახეები აქვთ შეწითლებული, ხელები ჭუჭყიანი მაქვს, წყლის გადავლებაც ვერ მოვასწარი. თუ არ ვცდები, თქვენ იცნობთ ერთმანეთს.

3-ე ქალი. ლისისტრატე, თავს იმდენად უხერხულად ვგრძნობ, რომ არც ვიცი, რა ვთქვა. მოუმზადებელი შევხვდი ბავშვების საქციელს. კინესიასის დედას, ისივე როგორც მის სხვა დედებს უდიდეს პატივს ვცემ და მათ ბოდიშს ვუხდი, თუკი ნერვიულობა მოუხდათ ჩვენი მიზეზით, რადგან ალბათ უფრო მეტი ფსიქოლოგიური დახვეწილობა უნდა გამომეჩინა, როცა ჩემს ქალიშვილს ვესაუბრებოდი. ის, რამაც შეგვაშინა, იყო აკრძალვათა ნუსხა, რომელიც ჩემი ქალიშვილის შეყვარებულისგან, ესე იგი, თქვენი შვილისგან მოდიოდა და ამ აკრძალვების მორჩილი ათვისების - არ მინდა, ვთქვა, ინტერესის სურვილი, რომელიც ჩემს ქალიშვილს შევატყე. ხოლო ბოლო ინციდენტმა ერთმნიშვნელოვნად დამთრგუნა და განგაშის ზარი შემომაკვრევინა, რადგან ჩვენს ქალაქში უკვე წლებია ახალგაზრდა კაცს არაფერი აუკრძალავს ახალგაზრდა ქალისთვის, ცეკვის თანაპარტნიორი არ გაუღახავს და შემდეგ მისი გატაცება არ განუზრახავს. თუ რამე მეშლება, შემისწორეთ.

3-ე დედა. მე გული მაქვს აჩქარებული, მაგრამ ყველანაირად ვცდილობ, არ ავლელდე და ისე არ მოვიქცე, რომ ჩემს მონათესავე უამრავ დედას, დედებს თქვენს წრეში და ჩვენნაირ დედებს ჩვენს წრეში, დამატებითი ნერვიულობის საბაბი არ მივცე, მაგრამ მანამდე არ დავმშვიდდები, სანამ ჩემს ბიჭს არ დამანახებთ: სადაა ბავშვი? რატომ იდგნენ ქალაქის

კარიბჭესთან შეიარაღებული ამორძალები? რას უპირებენ ჩემს შვილს?
მისგან უკვე მეექვსე საათია არაფერი ისმის.

2-ე დედა. თუკი რამე დაუშავდა, დედები ქალაქს ავიღებთ და ნარიყალას
გადავწვავთ!

ლისისტრატე. მე მაინტერესებს, ვის ვესაუბრები ამ შემთხვევაში: დედას,
რომელიც შვილზე ღელავს თუ დედებს, რომელთაც თავიანთი პოლიტიკური
მიზნები ალაპარაკებთ? თუკი მხოლოდ დედას, მაშინ ნება მიბოძეთ
გაცნობოთ, რომ თქვენს შვილს არაფერი ემუქრება, ის ჩვენგან არცთუ
შორსაა და მისი მოხმობისთანავე შემოგვიართდება, ის ერთმნიშვნელოვნად
ცოცხალი, ჭანსადი და თავისუფალია. ახალგაზრდებს ქალაქი არ
დაუტოვებიათ.

3-ე ქალი. როგორ მრცხვენია, რომ გარკვეულწილად ჩვენმა ოჯახმა, ჩვენს
საკრებულოში აღზრდილმა ქალმა მისცა ბიძგი მის დაუფიქრებელ და
მრავალმხრივ შემაშფოთებელ ქმედებას. მაგრამ რა კარგია, რომ მათ
გაპარვა ვერ მოახერხეს.

3-ე დედა. სად არის ბავშვი?

ლისისტრატე. უნდა მომიტევოთ არაადეკვატური რეპლიკის გამო, მაგრამ ამ
საქმეში ბავშვიც ფიგურირებს თუ ოცი წლის კაცს მოვიხსენიებთ ასე?

2-ე ქალი. ჩემი მეუღლე ორმოცდაათს გადასცდა, მაგრამ დედამისი დღესაც
ბავშვად მოიხსენიებს.

1-ლი დედა. გვაბნევენ, თავგზას გვირევენ, ინტელექტუალურ დისკუსიაში
გვრევენ, რათა სიმართლის დადგენა ვერ შევძლოთ! სანყალი დედა
ფაქტობრივად მარილის სვეტად ქცეული დგას თქვენს წინაშე და შვილის
ბედის დადგენას ცდილობს, თქვენ კი ბანზე გვიგდებთ სიტყვას, ცინიკურად
გვპასუხობთ და ღირსების შემლახველი ქედმაღლობით გვეპყრობით. თუკი
დედის თანდარწებით ვერ ამბობთ სიმართლეს, ჩვენ გვითხარით - სხვა
დედებს; ცალკე გაგვიყვანეთ და აღიარეთ: სროლა მოხდა საზღვართან?
კინესიასს დამორჩილება არ უნდოდა და ტყვიები დააყარეს ამორძალებმა?
კაცმა უარი თქვა კაცისთვის შეუფერებელ საქციელზე - ლაჩრულად
ჩაბარებაზე და სასიკვდილო ტყვია მიიღო? ბიჭი სასიკვდილოდ არის
დაჭრილი თუ უკვე მკვდარია? სისხლის გუბე დააყენეს ქალაქის
კარიბჭესთან? გვამი სად დამალეს?

3-ე დედა. მოვკლავ იმათ, რამდენიც არ უნდა იყვნენ, ვინც ბავშვი მომიკლა!

1-ლი დედა. კაცებს გვიკლავენ!

2-ლი დედა. მკვდარი მაინც მოგვეცით!

ლისისტრატე. ამგვარი სოციალური შიზოფრენიის მთავარი საკვები
სახლიდან გამოუსვლელობა და უფუნქციობაა და ამის წინააღმდეგ მთელმა
ქალაქმა უნდა იბრძოლოს - არავის არ უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ
ზედმეტია, რომ არავის სჭირდება და ვინმე, ვინც უფრო ყოჩაღი აღმოჩნდა,
ნაკლებად ყოჩაღის კუთვნილ ადგილს იკავებს. ეს შინიდან გაუსვლელთა
ბრაზია! ცუდად ყოფნის ჟინი სამყაროს ობიექტურად აღქმის საშუალებას არ
გვაძლევს. დედებო, ნუ ჩხუბობთ: არავინ მოუკლავთ, წყვილს ქალაქი არ
დაუტოვებია, რადგან ინციდენტის შედეგად დაკისრებული ჭარიმის გამო,
უფრო სწორად კი, ჭარიმის გადაუხდელობის მიზეზით, ახალგაზრდა

მამაკაცის მონაცემები სასაზღვრო ნუსხაში მოხვდა და რახან არცთუ ხშირია, მეტიც, თუ არ ვცდები, წლებია ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ თუ არ მყოფ კაცებს ერთმანეთი არ დაუზიანებიათ და არც კანონს დამალვია ვინმე, ყმანვილი კაცი განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ აღმოჩნდა.

დარწმუნებული ვარ, როგორც ჭარიმის საკითხი მოგვარდება, ასევე ურთიერთობაც - შეუთანხმებელი ცეკვის გამო დასჭილთან. და არც მე ჩავერეოდი მათ და თქვენს საქმეში, მაგრამ ჩვენს წუხილს, შესაძლოა ვილაცისთვის გადაჭარბებულს, ორი მიზეზი აქვს: პირველი მიზეზი ისაა, რომ ქალიშვილის დედა ჩემი უმცროსი თანამებრძოლია, დიდ პატივს ვცემ და ვცდილობ მისი შიშები გავიზიარო (თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ ახალგაზრებს მოუნდებათ ჩემი მოსმენა), მეორე მიზეზი ქალაქიდან განდევნილი თუ ქალაქის კედლებს მიღმა მცხოვრები პირების (პირდაპირ ვთქვათ: რევანშზე მეოცნებე მჩაგვრელი კაცების) ქმედებები და ჩვენს პოლისში ჭანყის სურვილია, - თქვენ ხედავთ, რა ხდება მოსაზღვრე რეგიონებში: დღე არ გავა, რომ ქალი არ მოკლან! - ამ ხალხს ქალაქში შემოღწევა და ომამდელი წესრიგის, უფრო სწორად, უწესრიგობის აღდგენა უნდა. ახალგაზრდა ქალები და კაცები ჩემთვის ამოუხსნელი ფანატიზმით ისმენენ მათ შეგონებებს და აბსტრაქტული საღვთო ომისა და სამუდამო ხსნის მოლოდინში არიან. არ ვიცი, ვინ რას და რატომ ქადაგებს ჩვენი ქალაქის გალავნის მიღმა, მაგრამ ჩემი ასაკი უფლებას მაძლევს ხმამაღლა გამოვთქვა შიშნარევი ირონია, რომ ახალგაზრდა ქალებში შესაძლოა ისევ იფეთქოს მავნე ტენტენციამ და დეგრადაციის გზაზე შემდგარი ახალგაზრდა მჩაგვრელები მიიჩნიონ მრავალგვაროვნად მიმზიდველად. ნუ დავინწყებთ იმაზე დავას, ვინ აქცია მჩაგვრელი წარმატების სახეხატებად - ქალმა თუ კაცმა? ჩვენმა ამბოხებამ და მისმა შედეგებმა უკვე გასცეს ამ შეკითხვას პასუხი. მაგრამ აი, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში უკვე მესამე შემთხვევაა, როცა ახალგაზრდა ქალს ქცევის ნორმებს უწესებს ახალგაზრდა კაცი და ეს სიყვარულის სახელით ხდება. ქალიც, მიზეზთა გამო, ბრძოლაზე უარს ამბობს და მორჩილად თანხმდება ბრძანებებს, რა ჩაიცვას და რა არა; სად წავიდეს და სად არ წავიდეს; ვის ეურთიერთოს (ან ეურთიერთოს თუ არა საერთოდ ვინმეს) და ვის აღარ. და თუკი ადვილად დავძლიეთ პირველი ორი შემთხვევა (დეტალები ყველამ კარგად იცის, ორივე შემთხვევაში გოგონებმა იმარჯვეს: საეჭვო ჰიპნოზს არ დამორჩილდნენ), ამ უკანასკნელმა ყველა დაგვაფიქრა: ყოველდღიურად ისმის ახალი აკრძალვა, ხოლო ქალი პროტესტს არ ან ვერ გამოთქვამს, ან თუკი გამოთქვამს, უღონოდ. შეიძლება ზედმეტად ვშფოთავ, მაგრამ აქ სწორედ ამიტომ ვართ, რომ ჩვენი შფოთის ობიექტური შეფასება შევძლოთ: იქნებ დავბერდით და ის, რაც კატასტროფად გვეჩვენება, სულაც არ არის საშიში? თუმცა ისიც ხომ შესაძლებელია, რომ ახალგაზრდა კაცმა, თქვენმა შვილმა, გმირად წარმოიდგინოს საკუთარი თავი და მისაბაძი გახდეს სხვა ახალგაზრდებისთვის, რაკი სტაბილური წლების შემდეგ, პირველი აღმოჩნდა, ვინც თანასწორობის წესი დაარღვია ჩვენს ქალაქში. იქნებ სწორედ ის ეგონოთ გმირი, ვინც სქესთა შორის კანონად ქცეულ მშვიდობას უპირისპირდება? შეურაცხყოდას არ ვაყენებ თქვენს შვილებს, მაგრამ არ

არის გამორიცხული, რომ მათ უკვე მოსაწყენად ეჩვენებოდათ თავისუფლება და მშვიდობა, რადგან ის რაც ყოველდღიურია, სამუნებაროდ, მოსაწყენიც ხდება. არც ერთს ჰყავს მამა და ისევ ქალებს გვინებს შედეგებზე მსჯელობა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შეცდომას არ დავუშვებთ.

3-ე დედა. შეცდომა უკვე დავუშვით, ლისისტრატე, როცა კაცების დაკნინება დავიწყეთ ახალგაზრდა კაცების თვალში, როცა სასკოლო სახელმძღვანელოებში შევიტანეთ თქვენი რევოლუციის ისტორია - როგორ დაამცირეს ქალებმა კაცები ლისისტრატეს ოინის წყალობით! შედეგად კი რა მივიღეთ? ნაიკითხეთ პრესა, მიმოიხედეთ, რა ხდება ჩვენს გარშემო! იცით თუ არა, რომ მას შემდეგ, რაც ქალებმა თქვენი ნაქებებით უარი უთხრეს თავთავიანთ კაცებს ცოლ-ქმრული ვალის აღსრულებაზე, კაცების მესამედმა ჯერ დამღუპველ ონანიზმს, ხოლო ნახევარმაც მამაკაცი აირჩია მენყვილედ? მაშასადამე, რახან ქალებმა უარჰყვეს, მამათმავლებად იქცნენ! ქალაჩუნები მოედნენ ჩვენს ქუჩებსა და სახლებს და პატიოსან დედებს ერთხელ და სამუდამოდ განუდევნეს ღამეული ძილი: თურმე ცუდი ყოფილა, თუკი ქალებზე მბრძანებლობ და კარგი ყოფილა, როცა კაცი ხარ, მაგრამ ქალი მბრძანებლობს შენზე! ჩვენ ჩამორჩენილებად მიგვიჩნევს თქვენი წრის ხალხი, მაგრამ ოდესმე დაინტერესებულხართ, რა ტკივილი და შიში გადაიტანა ჩვენმა თაობამ, ჩვენმა წრემ, დედათა ერთობამ, იმ ქალებმა, ვისაც ვაჟი ჰყავს და არა ქალიშვილი? ქალის დედისთვის ადვილი სათქმელია, მაგრამ, აბა, კაცის დედას ჰკითხეთ, როგორია, როცა დღენიადაგ აქებენ კაცის შემცნობელ კაცებს და ძველებური ყაიდის კაცებს ბოროტმოქმედებად მიიჩნევენ? რატომ ამბობთ, რომ მამათმავლობა კარგია? განა ვინმეს ვუშლით მამათმავლობას, მაგრამ იყვენ თავისთვის, თავიანთ სახლებში, გარეთ რაღას გამოდიან, ჩვენს შვილებს რაღას უბნევენ თავგზას? ანდა იმ დედებს რას ვუბნებით, ვისი ვაჟებიც ასობს იკვეთენ წარმატების მიღწევის მიზნით (რაკი დღეს ქალი უფრო წარმატებულია, ვიდრე კაცი), ხელოვნურ სამკერდე ჭირყვლებს იბერავენ და კაცის სახელს ქალის სახელით ცვლიან! უკვე აღარც ვიცით, ვინ ქალია და ვინ მამაკაცი!

2-ე დედა. სად გაჰქრა ის სადგომები გინდა ქუჩებში, გინდა ეზოებში, გინდა სკოლებთან, სადაც ყმანვილი კაცები ჩამოდგებოდნენ ხოლმე და უშუალოდ იქვე იღებდნენ ცხოვრებისეულ ცოდნას? იდგნენ ოცობით, იდგნენ ორმოცობით, იდგნენ ასობით და არადროს გვიფიქრია, რომ ამით ვინმეს აკნინებდნენ, როგორც ერთმა ქალთმოყვარე ქალმა, ესე იგი, არაქალმა დაწერა! ისინი იდგნენ, როგორც მგლები, რომლებიც არავის შეარჩენენ ღირსების შელახვას.

1-ლი დედა. სადაა ის ძველებური გაცილება, გინდა ჭგუფური, გინდა შერჩევითი, როცა ქალმა იცოდა, რომ გვერდით კაცი უდგას, ან სანდო საკაცეთი და არა ის ეშმაკეულივით მოცინარი შუანა (არც კაცის მსგავსი, არც ქალის), რომელიც ვერც ვერავის შეუბღვერს და ვერც დაგიცავს, თუკი სათანადო პატივისცემის გარეშე შემოგხედავს ვინმე. ასეთი შუანები იქით უნდა დაიკვა. მაგრამ დასაცავიც რომ არავინაა!

3-ე დედა. ქალებს გრძელი ენა გვაქვს და გაუთავებლად ვლაქლაქებთ. კაცი არ არის ჩვენს გვერდით, ვინც პირზე აგვაფარებს ხელს, ან საყვედურით

გამოგვხედავს (რათა მივხვდეთ, რომ ზედმეტი მოგვივიდა) და ჩვენზე ათჯერ უფრო მეტი გონიერებით და ძალით ასწავს ჩვენს მიერ გაფუჭებულ ან ვერგაკეთებულ საქმეს.

1-ლი ქალი. ასე თუ გიყვარდათ თქვენი კაცები, ან სად გააგდეთ ან სიკვდილამდე როგორ მიიყვანეთ?

1-ე დედა. ვის უბედავ ასე ლაპარაკს? ეს პროვოკატორი საიდან გამოხტა?

2-ე ქალი. პატარა ქალაქია, ჩემო ძვირფასებო, დედების ქმრები ან მოსაზღვრე რეგიონში არიან განდევნილები (ოლონდ მათ მიერ და არა ქალაქის მიერ; ეჭვი მეპარება, ლისისტრატემ იცოდეს ამ ხალხის ოჯახური პრობლემების შესახებ), ან ბანქოს ქალაქდებით წაგების გამო ჩადენილი თვითმკვლელობით ან გონების ამშლელი შხამისგან არიან მკვდრები.

3-ე დედა. თუკი ჩემს შვილს ისეთი ქალი მოსწონს, ვისი დედის მეგობარი ასეთი პროვოკატორია, მართლაც ღირსი ყოფილა, შუანებში ეგდოს და მოწონების ობიექტმა ერთდროულად ათთან ერთად გაატაროს საცეკვაო საღამო! აქ დედა ღელავს, დედას ხელით უჭირავს გული და ეს კი გარდაცვლილ კაცებს დასცინის!

2-ე დედა. შუანა ქმრის ყოლას, ისევ ის მირჩევნია, მკვდარი მენჯეს მიწაში!

3-ე დედა. მომეცით ჩემი შვილი და მითხარით, სად და ვის უნდა გადავუხადო იმ ცემის ჭარბი!

ლისისტრატე. ნუ ჩხუბობთ, აქ სათათბიროდ ვართ!

2-ე დედა. უნდა გრცხვენოდეს, ლისისტრატე, რადგან უტვინო და უზრდელი ქალები დაგვასვი თავზე!

1-ლი ქალი. რატომ ვართ უტვინოები? რახან თქვენგან განსხვავებით ხელის შებრუნება გავბედათ?

2-ე დედა. რა უფრო არანორმალურია: კაცს სცემდეს ქალი თუ კაცი ქალს?

1-ლი დედა. ქალები თავად იწვევენ კაცებს საცემად!

3-ე ქალი. ჩვენთვის შეუფერებელ თემაზე ვკამათობთ! ლისისტრატე თავის ბაღში იყო და იმის მაგივრად, რომ მისგან ბრძნული რჩევა მოგვესმინა, ერთმანეთს და მას ვაყენებთ შეურაცხყოფას. თავს საშინლად უხერხულად ვგრძნობ იმის გამო, რომ დაპირისპირებული ვარ იმ ადამიანთან, რომლის შვილიც ჩემს შვილს უყვარს. ჩვენ რა შუაში ვართ! ეს ბავშვები ჩვენგან დამოუკიდებელი ჭანსალი ფიზიო-ფსიქოლოგიური ცხოვრებით უნდა ცხოვრობდნენ.

ლისისტრატე. არაჭანსალს რას სჩადიან?

2-ე ქალი. ბოდიშს ვიხდი, დედებს რომ ვაცლი სიტყვას, ეს ჩემი საქმე არცაა, მაგრამ შეიძლება დედამ ვერ თქვას, მე კი მოურიდებლად ვიტყვი: ყმანვილი კაცი ქალიშვილს არ ეკარება - ერთმანეთის ფიზიოლოგიურ შეცნობას გაურბიან, ხოლო მიზეზად მოძღვრის დარიგებას ასახელებენ.

ლისისტრატე. ასეთი რა მოძღვრებაა, ახალგაზრდა კაცს რომ უკრძალავს გნებავთ მსუბუქ, გნებავთ აქტიურ ფიზიკურ კონტაქტს თავის შეყვარებულთან?

3-ე ქალი. ეს რაღაც ახლებური მიმართულებაა, თავად ამბობენ, რომ წმინდა ძირებს უბრუნდებიან, მაგრამ არავინ იცის, ეს მართლაც წმინდაა თუ უბრალოდ ძირი: გალავანს იქით ქალს ვერ ნახავ, თავსაფარი არ ეხუროს,

კაცები ყველა წვერულია; იქ სადაც კაცები სხედან, ქალებს არ უშვებენ და მათთან ერთად ჭამას თაკილობენ. თეოლოგიაში მოვიკოჭლებ, მაგრამ საინტერესოა, მართლაც თუ არსებობს ისეთი ღმერთი, რომელიც ჰადესში უკრავს თავს ქორწილამდელ ალერსზე უარის ვერმთქმელ წყვილს?

2-ე ქალი. ლისისტრატე, ჩვენი თხოვნა ასეთია: დოგმად დააწესე ქორწინებამდელი შეცნობის კანონი!

1-ე ქალი. მოგვეცი იძულებითი სექსის კანონი, რათა შემდეგ სანანებლად არ გაუხდეთ საქმე: კანონით დავიცვათ ჩვენი შვილები იმედგაცრუებისგან!

2-ე ქალი. მოგვეცი ისეთი მტკიცე კანონი, როგორი მტკიცეც შენი წლებისწინანდელი უარი იყო! უნინ ძლიერი “არა” გვათქმევინე კაცებთან სარეცელის გაყოფაზე, ახლა კი შენი სამართლით დაგვინესე სიყვარული! ეს ყველას წაადგება: დედებსაც და ახალგაზრდებსაც! ადრე ჩვენმა უარმა დაასრულა ომები, დღეს კი საყოვლთაო თანხმობა აიცილებს მომავალ ომებს!

1-ლი ქალი. კანონის დარღვევას ვერავინ გაბედავს: ვერც ქალი, ვერც კაცი!

2-ე დედა. აი, თურმე რა ნდომებიათ! აი, ესაა ამათი მსოფლმხედველობა!

შეხედეთ შუანებისგან გადაქანცულ და ამოუპირავ ქალებს!

2-ე ქალი. ლისისტრატე, მიეცი ამ საწყლებს იძულებითი სიყვარულის კანონი!

1-ლი დედა. სად მიდიხარ, ლისისტრატე?

2-ე ქალი. ლისისტრატე, მოგვეცი პასუხი!

2-ე დედა. ვერ ხედავთ, დაბერდა თქვენი ლისისტრატე და სათქმელი აღარაფერი აქვს, თავადვე არია ყველაფერი და დალაგება აღარ გამოუდის. კაცი უნდა ყოფილიყო ოჯახის თავი და ცოლს მორჩილად და ბრძნულად ეტარებინა დიასახლისის ტვირთი.

1-ლი ქალი. და კაცისთვის დილა-სალამოს ებანა ფეხები!

2-ე დედა. თქვენი შუანა ქმრები რომ თავად ბანაობენ, იმიტომაც არ დასდევთ სხვა კაცებს!

1-ლი დედა. სახლიდან გასვლის წინ ჯობია გასაღებზე ჩაკეტოთ კარადა, თორემ თქვენი შუანები კაბებს გაგინელავენ და მერე შიშვლად მოგინევთ ქურა-ქურა ტანტალი!

1-ლი ქალი. კაცმა ცოლი უნდა მოიყვანოს, ცოლი და ქალიშვილი თავშალსა და ტომარაში შეფუთოს და თუკი ეჭვს აიღებს ქალიშვილზე, რომ მისი ან სხვისი აზრით არასათანადოდ მოიქცა, ცოლის დახმარებით ჩაახრჩოს წყალში, რათა უწესოები არ ეგონოთ მეზობლებსა და პატიოსან თანამშრომლებს! ეს სადღაც ცხრა მთას იქით კი არ ხდება - აქვია, ჩვენს ქალაქთან ახლოს!

1-ლი დედა. ლისისტრატე დაბრუნდა!

1-ლი ქალი. აი, ჩვენი შვილი!

3-ე ქალი. ჩვენ კი ვიფიქრეთ, რომ დაიღალე და სამუდამოდ შეგვატოვე ერთმანეთს.

ლისისტრატე. რაკი თქვენგან ვერ გავარკვიე, რა არის სინამდვილეში საშიში (რადგან ყველას სხვა და სხვა რამის ეშინია), გადავწყვიტე, ახალგაზრდები შემომეხმო, რადგან როგორც ვხედავ, მათ გარეშე შეუძლებელი იქნება სიმართლის დადგენა.

2-ე დედა. კინესიას, მოეხვიე შენს დედებს!

3-ე დედა. ჩაგვეხუტე, შვილო, თუკი ცოცხალი და საღსალამათი ხარ!

1-ე დედა. მოგვეცი უფლება, შენს ტანს შევეხოთ, რათა დავწრმუნდეთ, რომ მრთელი და დაუზიანებელი მობრუნდი! დაჭრილი ხომ არ ხარ?

3-ე ქალი. სად იყავით? იყო თუ არა ეს გაქცევა? რატომ არ გადაიხადეთ ჯარიმა?

4-ე ქალი. რა უხერხულია ეს ყველაფერი, ამდენი ქალი შეკრებილხართ და ჩვენს პირად ცხოვრებას არჩევთ. რა უნდა მესწავლა თუნდაც ჩემს გენიალურ მაგისტრატურაში, თუკი შემდეგ თავისუფლებისმოყვარე დედა შეზღუდავდა ჩემს თავისუფლებას?

ლისისტრატე. მათ შეეშინდათ, რომ სწორედ თქვენ გიზღუდავდნენ თავისუფლებას.

კინესიასი. აქ მყოფი დედაჩემი და სხვა პატივსაცემი დედები არ მომცემენ ტყუილის თქმის უფლებას, ამიტომ გულწრფელად ვიტყვი: არავინ არასდროს შემიზღუდავს. ჩვენ ქალაქიდან გვინდოდა გასვლა და უკან კანონიერ ცოლქმრად დაბრუნება. თუმცა ამის საშუალება არ მოგვეცა, რადგან ჩვენ ამორძალებმა შეგვიპყრეს.

ლისისტრატე. შენი ნებით მიყვებოდი ცოლად?

4-ე ქალი. რასაკვირველია, ჩემი ნებით, რადგან მასზე მეტად არავინ მიყვარს და ცნობიერ დონეზე არც მყვარებია ვინმე არასდროს. ის ფატალური ცეკვა ჩემი შეცდომა იყო, თუმცა ინციდენტი ერთმნიშვნელოვნად ამოწურულია: პარტნიორებს შესაბამისი პასუხი გაეცათ და შერიგების აქტიც იქვე აღვასრულეთ. ჩემს გამო არავინ დაიჩაგრება. მომხდარი იმიტომ გაბუქდა, რომ პირველი იყო, თორემ მეორე რომ ყოფილიყო, მომხდარად არც ჩაითვლებოდა.

3-ე დედა. ვხედავ, ოჯახში კეთილზნინი რძალი შემომივა, მე კი შვილებს დავუბრდი მადლობის ნიშნად. ბოდიშს ვიხდი, თუკი მოვლენებს წინ ვუსწრებ, მაგრამ დედები სულსწრაფები ვართ. აი, ახლა დავმშვიდდი. რა ღირსეული ახალგაზრდა ყოფილა!

3-ე ქალი. სანინა აღმდეგო არც მე მაქვს რამე, სიყვარული ყველას დაგვამშვიდებს, მაგრამ ჩვენი საერთო გამოცდილებიდან გამომდინარე, უფლება არ მაქვს, ეს რჩევა არ გამოვთქვა (მოდი, ასე ვთქვათ - ჩათვალეთ, რომ ხავსს ვეჭიდები): იქნებ არ ავიჩქარდეთ, უფრო სწორად, თქვენ არ აჩქარდეთ (მე ვინ მეკითხება) და ისე იცხოვროთ, თითქოს ყოველდღიურად დიონისეს უქმეებია?

4-ე ქალი. შენ შენი ტრავმა გალაპარაკებს - გგონია, რომ ეს კაციც ისე მოიქცევა, როგორც მამა გექცეოდა რევოლუციამდე. ნუ გეშინია, ცივი შხაპის ქვეშ არ დამაყენებს.

3-ე დედა. ეს ცივი შხაპებიც მითია. უბრალოდ წყალს ვერ ვაცხელებდით, ეს იყო და ეს.

1-ლი ქალი. მაინც ვფიქრობ, რომ სხვათა ჰუმანურობას არ უნდა ვენდოთ: უფრო დაზღვეულები ვიქნებით, თუკი კანონით დავაძალებთ ქორწინებამდელ ფიზიკურ კონტაქტს.

2-ე ქალი. რატომ არ გინდათ, რომ სარეცელი გაიყოთ ერთმანეთთან? ეს ხომ არაბუნებრივია.

1-ლი ქალი. ეს კინესიასს არ უნდა.

4-ე ქალი. არც მე მინდა!

3-ე ქალი. ერთი კვირის წინ გინდოდა.

ლისისტრატე. კინესიასს, თავს რატომ იკავებ?

კინესიასი. არ შემოძლია დედების თანდასწრებით ფიზიკურ კონტაქტზე საუბარი. ამ სიტყვის თქმაც უხერხულ მდგომარეობაში მაგდება. რატომ არის ცუდი, რომ საღვთო წესებით ვიცხოვრო? რატომ არის ნორმალური, რომ ის პირობა დავარღვიო, რომელიც ჩემს მოძღვარს მივეცი?

ლისისტრატე. რა პირობაა, შეგიძლია გვითხრა?

კინესიასი. ეს პირობა ცნობილია. არ მინდა ქორწინებამდე მრუშობა. მინდა მართალი და სუფთა ვიყო ღმერთის წინაშე; მინდა ხსნილზე უარი ვთქვა და როგორც გონებრივად, ასევე სულიერად განვენყო ცოლ-ქმრული ცხოვრებისათვის. ეს ქალი რომ არ მიყვარდეს, არც უპიროვნო ცეკვა მომეჩვენებოდა მიუღებლად და არც სხეულებრივ შერწყმაზე ვიტყოდი უარს...

3-ე ქალი. ესე იგი, ჩემს ქალიშვილთან ცხოვრება მის დაკნინებას ნიშნავს? თუკი გიყვარს, ამას შეურაცხყოფად მიიჩნევ? როგორც საკუთარ შვილს, ისე გეკითხები, ოპონენტად არ ჩამთვალო.

3-ე დედა. გამოცდაზეა ჩემი ვაჟკაცი! ოღონდ არც ერთი პასუხი არ სცდონია წინასწარ, რასაც ამბობს, გულიდან ამბობს.

კინესიასი. ეს სიყვარული ჩემთვის ისეთივე სათუთია, როგორც ის, რაც ყველაზე მტკიცეა ამ სამყაროში. არ მეგონა, თუკი თქვენი თანდასწრებით მომიწევდა ჩემი მეწყვილესთვის სიყვარულის ახსნა, მაგრამ რახან ასე იწება განგებამ, ვერაფერს გავანყო: ეს უნდა იცოდეთ ჩემმა და მისმა დედებმა - მასზე მეტად არავინ მიყვარს და არც არავინ მეყვარება აწ და მარადის. ეს დამტკიცებულია.

1-ე ქალი. რა კარგად საუბრობს, რა ღირსეულად, მაგრამ რა ვქნა, არ მომწონს ამ ბიჭის წვერი, ცოტა მოკლედ მაინც ჰქონდეს.

კინესიასი. თუკი კანონი კრძალავს წვერით სიარულს ანდა ისეთი წესებით ცხოვრებას, რომელიც მხოლოდ ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის (გნებავთ, ადამიანის პიროვნების სრულყოფისათვის) არის მნიშვნელოვანი და სხვას არავის ვნებს, მაშინ ეს კანონი უსამართლო ყოფილა.

1-ლი ქალი. ის მოძღვარიც ვინაა? უკვე ბევრმა დაადასტურა (მათ შორის, მისმა ყოფილმა ცოლმაც), რომ ოდესღაც განდევნილი მოძალადე ყოფილა.

4-ე ქალი. ეს უკვე თავხედობაა!

1-ლი ქალი. თვალებს ნუ გვიბრიალებ, ჩვენს მუხლებზე ხარ გაზრდილი.

2-ე ქალი. ლისისტრატე, ნუ უსმენ ამ ბავშვებს, არ მჯერა ამათი რომანტიზმის, მოგვეცი კანონი! აიძულე, ერთმანეთი შეიცნონ!

1-ლი ქალი. მართალია, რას ვალაპარაკებთ! შეიცნონ, ლისისტრატე!

2-ე ქალი. შეიცნონ, ერთბაშად გამოფხიზლდებიან!

1-ლი ქალი. მიეცნენ ერთმანეთს!

3-ე დედა. მიეცნენ თქვენი შვილები! ჩვენებს თავი დაანებეთ!

4-ე ქალი. სიამოვნებით ვეშვილებოდი სხვა დედას! ნეტა მამაჩემი მდგომოდა ქომაგად! გადაგვახდევინეთ ამ ფატალური ცეკვის ჯარიმა და გაგვიშვით აქედან!

ლისისტრატე. უნდა გვაპატიოთ, ბევრჯერ შეგვაშინეს და რთულად მოვიპოვეთ ღირსეულად ცხოვრების უფლება. ვუსმენ და მესმის ჩემი თანამებრძოლების, მაგრამ გულით თქვენს მხარეს ვარ. ვნუხვარ, ამდენი ტკივილი რომ მოგაყენეთ და პირობას გაძლევთ, აღარასდროს ჩაგაყენებთ მსგავს უხერხულ მდგომარეობაში. უნდა შეგვინდოთ, დრო შეიცვალა და უფრო ყურადღებით ყოფნა გვმართებს. არანაირ ახლებურ წესებს არ მოვიგონებ, იძულებითი სიყვარულის კანონს ჩემგან ვერავინ ეღირსება, ამ ბავშვების მე არ მეშინია, - და არც ის მომწონს, ამათ რომ ბავშვებს ვუწოდებთ, - ვისაც მათი ეშინია, - ქორწილში ნუ მივა. მე კი წავალ - თუკი, ცხადია, ჩემს მისვლას არ ითაკილებენ. დედებო შერიგდით, თქვენი შვილები ჩვენზე ჭკვიანები აღმოჩნდნენ. საშიშები ჩვენ ვართ და არა ისინი.

16.

თვეების შემდეგ. ლისისტრატე და ქალების ქორო.

- ლისიტრატე, საგანგაშო ცნობა გვაქვს: თქმას ვერ გიბედავდნენ.
- ნაადრევი აღმოჩნდა შენი სიხარული!
- ახლა ყველაფერი შეიცვლება.
- ჩვენი ქალიშვილი დედასთან დაბრუნდა. ზედაპირული შეთვალეირებაც კმარა, რომ მიხვდე: ის ნაცემია.
- კინესიასს გაულახავს. ტუჩი გახეთქილი აქვს, თვალი ჩალურჯებული.
- ლისისტრატე. ისევ ვინმეს ხომ არ ეცეკვა?
- პირველი შემთხვევა არ ყოფილა, რამდენჯერმე გამეორებულა, თუმცა აღიარება ერიდებოდა.
- იქნებ კაცს პრობლემები შეექმნა ფიზიკური კონტაქტის დამყარების დროს?
- იქნებ გაბრაზდა და ცოლზე იყარა ჯავრი?
- იქნებ ცუდი სიმთვრალე აქვს?
- იქნებ შემცირებაში მოჰყვა სამსახურში, თუკი საერთოდ ჰქონდა სამსახური?
- იქნებ მოსაწყენად ეჩვენა ცოლ-ქმრული ცხოვრება? იქნებ მოულოდნელად დაიტანჯა შინიდან გაუსვლელიობით?
- იქნებ ფსიქიკური აშლილობა აქვს?
- იქნებ სამყაროს მომავალი აშინებს?
- იქნებ დედებმა უბიძგეს? იქნებ პროვოკაციას ამზადებენ?
- იქნებ დეპრესიაშია?
- იქნებ არც არაფერი აშინებს, არც დეპრესიაშია და უბრალოდ ნაძირალაა?
- ლისისტრატე, გვითხარი, რა გვეშველება? რა უნდა მოჰყვეს ამ ყველაფერს?

- ახლა გაბრაზდება, რომ ცოლის მეშვეობით მთელმა ქალაქმა შეიტყო მისი ამბავი.
- და ცოლს ახალ სასჯელს მოუგონებს!
- უკან დაიბრუნებს.
- ეტყვის: ჩემზე ლაპარაკობ, როგორ ბედავ!
- ისევ გალახავს.
- თავს არტყმევინებს კედელზე.
- ჰოდა ერთხელ ვერც მოზომავს და შემოაკვდება.
- ელექტრომადულარათი მოკლავს.
- მერე კი ქალიშვილმოკლული დედა იძიებს შურს - შვილის მკვლელ სიძეს მოკლავს.
- შურისძიებას შურისძიება მოჰყვება: ქალაქში მოძალადე კაცები შემოაღწევენ და კინესიასის მკვლელს დაუნყებენ ძებნას. ეს მათთვის დიდი ხნის ნანატრი მიზეზი იქნება.
- მოსაზღვრე რეგიონების კაცები აქ მცხოვრებ ქალებზე ინადირებენ!
- ისევ ქალების კვლას დაიწყებენ.
- ქალაქის მართვა კაცების ხელში გადავა!
- ხელისუფლებას სისხლმონყურებული კაცები დაიბრუნებენ!
- ისევ გაჩაღდება დიდი ომები!
- რისიც გვეშინოდა, ის მოხდა: ქალაქში მოძალადე გაჩნდა.
- თუკი ვინმეს უღალატა სიბრძნემ და ინტუიციამ, უყოყმანოდ უნდა შეველიოთ ან ვაიძულოთ, სხვას დაუთმოს ძალაუფლება. შეუცვლელი არავინაა.

ლისისტრატე. ეს ჩემი შეცდომაა?

ფარდა

ლაშა ბულაძე
2014, ოქტომბერი-ნოემბერი